

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0130-1994

# დროშა

ოქტომბერი
№ 10 1981 წ.



# საბჭოთა კონსტიტუციის მოედანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ახალი და წარმტაცი კუთხეა.

აი, სწორედ ამ მოედანზე მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა დემონსტრაცია და პარადი.











მოზეიმე თბილისელები ახალ, დიდ გამარჯვებას ულოცავენ საქართველოს სახელოვან მეჩაიეებს, რომლებმაც დროზე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა და გადაჭარბებით გაანაღდეს სოციალისტური ვალდებულება — 515.131 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს ქვეყანას.

დიდება ქართველ მეჩაიეებს!

# თბილისო

მორის ფოცხიშვილი

მე დავამარცხე ეჭვის ურჩხული,
უიმედობის შავი წყვდიადი,
ახლა მაღვიძებს შენი ჩურჩულიც,
მაფხიზლებს შენი მცირე ცრიატიც.

მეხვევა შენი ცისკრის ცისკარი,
მეწევა შენი ქუჩის ხმაური,
ლამაზი, როგორც ხოხბის სიზმარი,
მაღალი, როგორც მზის სიყვარული.

მზე მამალივით შენს მკლავზე ყივის,
მზე, როგორც ქორებს,
                        დააფრთხობს ღრუბლებს,
გაზაფხულივით შენს სხივზე ვივლი,
რომ ფასკუნჯებით გაგივსო უბე.

თბილისო ჩემო, რად გინდა ფიცი,
თუ საჭიროა, სუყველა მყისვე,
შენ კარგად იცი,
                        ო, კარგად იცი,
კვლავ შენს კრწანისთან
                        მოკვდება ისევ!

შენ უნდა იყო ისევ მაღალი,
თესლივით წმინდა რწმენის ხნულებში,
შენ ხარ ახალი,
                        შენ ხარ ახალი,
აზრი ჩემი და ჩემი ნუგეში.

მინდა, ვიცხოვრო შენი ცხოვრებით,
მინდა, ვიბრძოლო შენი ფარ-ხმალით,
შენს თბილ საფლავებს ვეამბორები,
შენი სიცოცხლის აკვნებს დავხარი!

მე მინდა შენი მთების ვარაყი
ლაჟვარდოვან ცის ფრთებს დავატოლო,
მქონდეს უფლება, ვთქვა სიამაყით:
— თბილისელი ვარ, ჩემო ბატონო!

მინდა, შეიკრას, მინდა, შეერთდეს,
შენს სადიდებლად რაც იმღერება,
ვიყო იქ, სადაც უჭირთ მშენებლებს,
ვიყო იქ, სადაც მწუხრი გერევა!

მინდა, დაგადნე მთაწმინდის მთვარედ,
მინდა, გზა მივცე
                        შენს გამწევ ხარებს!

ჩემო თბილისო, რად გინდა ფიცი,
ო, სიყვარულთან ფიცი რა არი,
მძევლებად გიზის უბეში ციმციმ
ჩემი ლელა და ჩემი თამარი!

ჩემს ძმებთან ერთად,
                        ჩემს ძმებთან ერთად,
მე უნდა ვიდგე შენს თეთრ ჩარხებთან,
მე უნდა შევძლო ბჭემაღალ ხეთა
შენს გამზირებზე აჩახჩახება!

დარდს უჭარმაგეს ფერფლად გადავყრი,
მინდა, გიკრეფდე წყნეთურ გვირილებს,
რომ ჩემმა შვილმაც თქვას სიამაყით:
— თბილისელი ვარ, შენი ჭირიმე!

მე შენს მომავალს გრდემლზე გავჭედავ,
უკვე გაუდით ჩემს მხრებს ჭახანი,
მზე პირს იბანს და შენს დიდ
                        ფანჯრებთან
მტრედივით ჯდება დილა ახალი.

დამრჩი სიცოცხლედ!
                        ვიბრძვი და ვშრომობ
და შენს ხერხემალს ვაზად ვეხვევი,
ო, მთაწმინდაზე შემდგარო ლომო,
მე ვარ ძლიერი შენი ხერხემლით!

მე ვარ ძლიერი შენი მაისით,
შენი ქუჩების მწვანე ფილტვებით,
ლექსო ბებერო, ვიცი, კრწანისის
ყაყაჩოებში გაიფილტრები.

მე ვარ მაღალი შენი ანისით,
ვარ მზეჭაბუკი შენი დელისით,
ქართვლის დედაო, შუქად დამისხი
ჩემი თბილისის წმინდა მერმისი!

მინდა, გუდრონშიც ვნახო ბალახი,
აზრი სიცოცხლის,
                        სიყვარულისა,
მინდა, გულდაგულ ვთქვა სიამაყით:
— თბილისელი ვარ, შენი გულისა!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№10 (538) ოქტომბერი 1981

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა", 1981 წ.

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, ოთარ თურქია,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), რევაზ მარგიანი,
დინარა ნოდია
ნათელა გიორგობიანი, (მხატვარ-რედაქტორი),
ოთარ დემეტრაშვილი, ლადო სულაბერიძე,
გურამ დოჩანაშვილი, ილია ტაბაღუა,
სერგო დურმიშიძე, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, დაბადების სამოცდამეათე წლისთავს.

მთელი თქვენი მოღვაწეობის მანძილზე პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და დიდ გამოცდილებას ახმართ კომუნისტური მშენებლობის საქმის უანგარო სამსახურს, მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეალებს.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო კონსტანტინე უსტინის ძევ, დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ საქმიანობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

| | | |
|---|---|---|
| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი |

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ლენინის ორდენითა და მეორე „ნამგალისა და უროს“ ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

**კომუნისტური** პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი კონსტანტინე უსტინის ძე **ჩერნენკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენითა და მეორე **„ნამგალისა და უროს“** ოქროს მედლით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. **1981 წლის 23 სექტემბერი.**

# ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 28 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტი დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით.

უნგრეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ე. ა. შევარდნაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სახელით უნგრელ მეგობრებს მადლობა გადაუხადა უნგრეთში მიწვევისათვის, გულთბილი მასპინძლობის, გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ვასრულებდით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და პირადად ლ. ი. ბრეჟნევის დავალებას, თქვა მან, ჩვენ მოძმე უნგრეთში ჩამოვედით, რათა გავცნობოდით სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში შეძენილ გამოცდილებას. საამისოდ დელეგაციას უფართოესი შესაძლებლობები მიეცა. გაიმართა დელეგაციის საუბრები უნგრეთის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან, საინტერესო და სასარგებლო აზრთა გაზიარება უნგრელ პარლამენტარებთან, შეხვედრები მუშათა კლასის, კოოპერირებული გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

# ქრის ქარი ქალაქში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯემალ ინჯია,**
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

მივდივარ ქარელში. მივდივარ და ვფიქრობ — როგორ თვალზე შევხედავ ქალაქს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინწინ სოფელი იყო, გუშინ — დაბა...

გონების თვალით ვხედავ წინაპრებს, რომელთაც გაუვლიათ ან უცხოვრიათ ამ მიდამოებში. მესმის შრიალი ზაზა ფანასკერტელის კარაბადინის ფურცლებისა და მაკრინე ამირეჯიბის ნაღვლიანი სიმღერა. თვალწინ გაიელვებს „უზუნდარას“ ბრწყინვალე შემსრულებლის ნინო ციციშვილის სახე. მახსენდება ამონაწერი „დროების“ 1908 წლის 17 დეკემბრის ნომრიდან: „გ. იშხნელს კარგი გარეგნობა, თვისებები აქვს არტისტისა, მშვენიერი ხმა, მოხდენილი გარეგნობა, ლამაზი მიხრა-მოხრა, შესაფერისი თავის დაჭერა სცენაზე“.

მაგონდება, ყმაწვილობის ჟამს, ქარელს ზემოთ, მთიან სოფელ ორხევში რომ ვისვენებდი. დიდი კაკლის ჩრდილიდან მასპინძლის ჭოგრიტით შევცქეროდი მაღალ და მიუვალ გამოქვაბულს. დიდი იყო ჩემი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ სოფლელები მეუბნებოდნენ — იქ ფუტკრები ბუდობენო და ეს არგუმენტი ცივი წყალივით ესხმებოდა გამოქვაბულამდე მიღწევის სურვილს. სამიოდე წლის შემდეგ კი გამოქვეყნდა ცნობა, რომ ცნობილმა მწერალმა და მთასვლელმა ლევან გოთუამ ორხევის გამოქვაბულში აღმოაჩინა 1066 წლით დათარიღებული ჯვარი ლეონტი მროველის წარწერითურთ.

ქარელის მადლიან მიწაზე იშვა ქართული მეცნიერული აზრის ერთ-ერთი კორიფე, თანამედროვეობის უდიდესი მათემატიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, ქართული კონიაკის შემოქმედი ვახტანგ ციციშვილი... ფიქრი შემაწყვეტინა მანქანების გაბმულმა საყვირმა — ჩემს წინ ჩამოიქროლა მექორწილეთა მაყრიონმა...

გამარჯობა მითქვამს, ქალაქელებო!

ჩემს დედულეთში, ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთში, ბავშვობის არა ერთი ნეტარი დღე გამიტარებია. „ედემის ბაღს“ უწოდებდნენ პაპაჩემის ბაღს. ჰოდა, პაპა ქიტა რომ იტყოდა ხოლმე, ქალაქში მივდივარო, ყველამ ვიცოდით — პაპა თბილისში მიდიოდა. ახლაც ბევრ სოფელში მცხოვრებლისათვის ქალაქის ხსენება თბილისთან არის დაკავშირებული...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ კალაპოტში — ეს-ეს არის ხიდიდან რომ გადავცქეროდი.

ქარელი იქცა ქალაქად!

და მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ეს დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამოცე წლისთავს. ახალი ქალაქი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის პირმშოა, საქართველოს გალონივრების კიდევ ერთი ჩასათვლელი ქულაა, რაც გულზე ხელის დაკრეფით როდი მოუტანიათ ქარელელ მშრომელებს თავიანთი სამშობლოსათვის.

სხვა თვალით ვუყურებ საკმაოდ ნაცნობ ქუჩებს, შენობებს.

სახალხო დეპუტატების ქარელის საქალაქო საბჭომ 1981 წლის 24 თებერვალს ჩაატარა

თავისი პირველი სესია და მას შემდეგ დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ზრუნვას ქალაქის პრესტიჟის ამაღლებისათვის. საბჭომ შემოიკრიბა აქტივი, ის ადამიანები, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური კუთხის მადლი, ვისთვისაც აქაურობა მარტო მიწა კი არ არის — ადგილის დედაა. როგორ არ უნდა მივაკუთვნოთ ასეთი ადამიანების რიცხვს მარლენ მღებრიშვილი, რომელმაც ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა ჭეშმარიტად პატრიოტული მოწოდება „ჩემი ქალაქი ჩემი საზრუნავია!“ მარლენის ოჯახმა იკისრა, ხელი შეუწყოს ქალაქის სილამაზესა და სისუფთავეს, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, არ დაზოგოს თავისი შესაძლებლობა ახალი ქალაქის მკვიდრ საფუძველზე განსამტკიცებლად. გაზეთის რედაქციამ მრავალი წერილი მიიღო. მათი ავტორები მხურვალედ ეხმაურებიან მოწოდებას, უმატებენ საკუთარსაც. რედაქტორი ვასილ მამულაშვილი გულწრფელად წუხს, რომ ყველა გამოხმაურების დაბეჭდვას ვერ ახერხებს რაიონულ გაზეთში.

აქვე დავძენ, ქარელელი ჟურნალისტები ერთ-ერთნი პირველნი გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას მავნე ტრადიციებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის შესახებ. თვითონ რედაქტორი ნიჭიერი ჟურნალისტია. მისი თაოსნობით შეიქმნა გაზეთის ფურცლებზე „კრაზანას“ კუთხე. ბევრი „დაკბენილი“ მწარედ აცრემლებულა ხალხის სამსჯავროზე. გაზეთის ასეთი პოზიცია ბევრჯერ გამხდარა მსჯელობის საგანი, რასაც მოჰყოლია კონკურსებში გამარჯვებანი და სხვადასხვა წახალისებანი. მკითხველი ყოველთვის შეუნელებელი ინტერესით მოელის ნოდარ კობახიძის, გიორგი გეგელაშვილის, ნინო მარჯანიძის, შალვა ქელეხსაშვილის წერილებს. გაზეთის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება ჟურნალისტისა და პოეტის დავით მურმანიშვილის ლექსები. საერთოდ, „ლიტერატურულ გვერდს“ დანატრულებული არ არის ქარელელი მკითხველი.

კარგი შემოქმედებითი კოლექტივის პოლიგრაფიული ბაზა სერიოზულ მიხედვას საჭიროებს. სტამბა, სადაც გაზეთი იბეჭდება, თანამედროვეობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ქალაქი უკეთესი სტამბის ღირსია.

...პატივცემულ ლილისთან ერთად დავდივარ ქალაქის ქუჩებში. ვათვალიერებ ძველსა და ახალ უბნებს.

ლილი მაზმიშვილი სახალხო დეპუტატების ქარელის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გახლავთ. უყვარს სიმართლე, სწამს მეგობრობა, იცის პოეზია...

ქარი ქრის. თუმცა რად მიკვირს, უქარო ქარელი ვის გაუგონია?! თაქლის უბანში ვართ. აქეთ კეხიჯვრის გზა მიდის. ქალაქს აქვს მხარგაშლის საშუალება. ავტოსატრანსპორტო კანტორა, ყველ-კარაქის ქარხანა, მესამე საშუალო სკოლა, მეორე საბავშვო ბაღი — აი, ამ უბნის მრეწველობის და განათლების კერები, რომლებიც სრული დატვირთვით მუშაობენ.

— წრიული მოძრაობის ავტობუსი დავნიშნეთ რვა გაჩერებით, — მომითხრობს ლილი, — მოსახლეობა ძალზე მადლიერი გვყავდა, მაგრამ, რატომღაც, ამ სიახლეს დიდი დღე არ ეწერა... ჩვენი კანტორა ხაშურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას ექვემდებარება. ვფიქრობ, ყურად იღებენ და ხალხის სურვილს დააკმაყოფილებენ... ერთხელ და სამუდამოდ.

ქარელის ძველი ცენტრი ამჟამად სამოცბინიანი სახლით არის დამშვენებული. აქვეა პირველი საშუალო სკოლა. აქ იყრიდნენ ხოლმე თავს მეწვრილმანე ვაჭრები, გაჩაღებული იყო აღებ-მიცემობა. მავნე ტრადიციებთან ბრძოლისას მოიშალა ეს ბუდე. თუმცა, ინერციით ზოგ-ზოგი მაინც განაგრძობს ფარულ მეწვრილმანეობას.

— გიყვარდეთ, ხეირს არვაყრით ასეთებს! — განაგრძობს ლილი.

საქარხნო დასახლებაშიც სამოცბინიანი შენობა დგას. აქ მთელ რესპუბლიკაში ცნობილი ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები ცხოვრობენ. ქარელში გარემონტებული ძრავებით დაგუგუნებენ მანქანები რესპუბლიკის ყველა კუთხეში — პურის ყანებში, ჩაის პლანტაციაში, ტალებსა თუ ზვრებში (არ დაგვავიწყდეს, სარემონტო ქარხანა „სოფლტექნიკის“ სისტემას ეკუთვნის).

საქალაქო საბჭოს ტერიტორიაში ქარელის გარდა შედის ბებნისი, ლეთეთი და აფნისი. საბჭო არც ამ სამ დასახლებას აკლებს ყურადღებას. ბებნისის ბიბლიოთეკა ნანგრევებად იყო ქცეული. აღმასკომი აქტიურად ჩაერია საქმეში, ბიბლიოთეკას შეუცვალეს ბინა, გააუმჯობესეს თანამშრომელთა სამუშაო პირობები. შეკეთდა ლეთეთის კლუბი, საბჭოს სახსრებით შემოიღობა რვაწლიანი სკოლა.




სახე იცვალა ისეთმა სავაჭრო ობიექტებმა, როგორებიცაა წიგნების მაღაზია ცენტრში, სამრეწველო მაღაზია თაქლის უბანში და სხვ. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალი სპორტული სკოლის შენობა. რაიონის თვითშემოქმედ ძალებს აერთიანებს კულტურის სახლი. კარგად მუშაობს კინოთეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ათიოდე წლის წინ...

ფიქრის ძაფი არ წყდება. 1962 წლამდე ამ შემოგარენს სოფელი ერქვა. შემდეგ ქარელი დაბად გამოცხადდა. სულ რაღაც ცხრამეტ წელში ისე გარდაიქმნა, ისე წავიდა წინ, რომ ქალაქად იქცა. სასურსათო კომბინატი, ხილკენკროვანი ღვინოების ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ავტოსარემონტო და ყველ-კარაქის ქარხნები მუშათა კლასის ღონიერ ოჯახებად იქცნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქარელის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე. განზრახულია დამატებითი სახსრების გამოყოფა ახალი ქალაქის კეთილმოწყობისათვის. უნდა აშენდეს ჰიგიენის სახლი, გაფართოვდეს საავადმყოფო, დამონტაჟდეს 1500 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. მეთერთმეტე ხუთწლედში დაგეგმილია სამოცბინიანი სახლის მშენებლობა.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საქმით უპასუხებენ ქარელელი მშრომელები.

საზოგადოების განვითარების კანონებს თავისი გააქვს. ნასოფლარი ქარელი ახლა კოხტა ქალაქია. მალე ექსპლოატაციაში გადაეცემა 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისის ქუჩაზე, 24-ბინიანი — საბჭოს ქუჩაზე. დამთავრდება კავშირგაბმულობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა... წელს დამთავრდება წყალსადენის სამუშაოები, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეზოს და ყველა სართულს ექნება წყალი.

იმატა სკვერებმა. მშვენდება სტალინის ქუჩა, წმენდენ მდინარე ძამის არხს. ღვინის ქარხნის კოლექტივმა იკისრა 20 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულოს და ქალაქში შესასვლელი — ჭავჭავაძის ქუჩა შეაკეთოს, ორივე მხარეზე გაავლოს მესერი.

ქალაქის საბჭოს ყოველმხრივ ეხმარებიან რაისაბჭოს აღმასკომი და პარტიის რაიკომი. რაიკომის პირველი მდივანი ომარ კილასონია აქაურია, აბისელი კაცია და კარგად იცის მთელი ამ მხარის ავ-კარგი. ქარელელები ემადლიერებიან მას გულისხმიერებისა და ადამიანის შეცნობის უტყუარი ალღოსათვის. „ჩვენი ომარი“, — არაერთხელ მსმენია მშრომელების მიერ სიყვარულით წარმოთქმული სახელი რაიონის კომუნისტთა ხელმძღვანელისა.

არ ვიცი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობაზეც აირჩევენ თუ არა დელეგატად მეცნიერსა და მეურნეს ნოდარ კვიციანიძეს, საქალაქო საბჭოს ახალგაზრდა დეპუტატი ლეილა სანდოძე სასურველ ინსტიტუტში მოხვდება თუ არა ამჯერად, ლენინის ორდენოსან ბარბარე გასიტაშვილის რომელიმე მოსწავლე კოსმოსში გაფრინდება თუ არა, მაგრამ ერთი კი ჩემთის ცხადზე უცხადესი გახლავთ — ქარელი დიდი მომავლის ქალაქია.

„დროშის“ კონკურსში გამარჯვებული



# მოლოდინი

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ?...

ვაჟა-ფშაველა

ვანო ბერიძიაშვილი

ნარკვევი

თბილისიდან ფშავში წასულს მანქანა სოფელ შუაფხომდე მიგიყვანს. აქ წყდება სამანქანო გზა. მის იქით კიდევ ოცი კილომეტრის სიშორეზეა გაფანტული უკანა ფშავის სოფლები თითო-ოროლა მოსახლითურთ. შეუყვები ხეობას, გზა. ვიწრო და სახიფათოა. მიდიხარ, მთებზე მოჩანს სოფლები, უფრო სწორად, ნასოფლარები! ჩამონგრეული სახლები, პირდალებული, ჩაშავებული ბუხრები, შამბგადავლილი ეზოები, ნაციხარები... ცაბაურთა, გოგოლაურთა, მათურა, ხოშარა, წითელაურთა, ახადი, ჭიჩო, ნაკვალესავი, ბოროლა, ჩალახევი, ელიაგზა... ეს სოფლები ახლა ნასოფლარები უფროა, რადგან ამდენ სოფელში ათი-თორმეტი კომლიღა ცხოვრობს, ახლო წარსულში კი ყოველ მათგანში, სულ ცოტა, სამოცი-ოთხმოცი ბუხარი მაინც ენთო.

ამჟამად ფშავის უკანასკნელ სოფელ ელიაგზაზე მოგითხრობთ, რომელიც ბორბალოს მთის ძირას მდებარეობს. ამ სოფელში ერთი კომლიღა ცხოვრობს—მამუკა ბობლიაშვილის ოჯახი. სიმართლე რომ ითქვას, მოსაყოლი თითქოს ბევრი არაფერია. ცხოვრობს ეს ოჯახი მარტო, უმეზობლოდ. ჩაცმულობა, თორემ შეიძლება ვერც კი დაიჯერო, რომ ბობლიაშვილები ახლა, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ცხოვრობენ. მათი სახლ-კარი, ცხოვრების წესი ისეთია, როგორიც ძველად იყო. არაფერი ამჟღავნებს თანამედროვე ცივილიზაციის ნიშანწყალს: არც სამანქანო გზაა სადმე, არც თანამედროვე სახლები, არც სკოლა თუ სამკითხველო. რაიმე ტექნიკაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. აქ მოსული უცხო ადამიანი თითქოსდა გარდასულ საუკუნეებში აღმოჩნდება. ასე ცხოვრობს ბობლიაშვილის ოჯახი. თავად ოჯახის უფროსი მამუკა, სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი, დიდი ხანია ველარაფერს ხედავს. განგებას თვალთა ჩინი წაურთმევია და ცდილობს სტუმარს არ დაენახოს. ამაყ მთიელს ესირცხვება, უცხო თვალმა დაბეჩავებული იხილოს. შვილები ბარში გადასახლდნენ. მოხუცები არსად წასულან, გაუჭირდათ ცხოვრება, მაგრამ ვერ მიატოვეს მამაპაპეული გამზრდელი კერა. მამუკას უმცროსი შვილი, რევაზი, მალევე მობრუნდა მთაში. დაოჯახდა, გაჩნდნენ ბალღები და მათმა ხმამ სიხარულით აავსო ბობლიაშვილების ოჯახი, სიცოცხლე დაუბრუნა ნასოფლარს.

სად წასულან მამუკას მეზობლები, რად მიუტოვებიათ გამზრდელი კერა?

უგზოობამ, უყურადღებობამ, ძნელმა ცხოვრებამ აიძულა ისინიც წასულიყვნენ ბარად, სადაც უზრუნველყოფილი იქნები, თუკი შრომა გიყვარს. აქ კი ძნელია ცხოვრება, როცა სოფლები თანდათან იცლება, როცა თანდათან გაკლდება მთავარი სიმდიდრე — ადამიანი!

ან კი რა არის მარტო კაცის ცხოვრება? ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანისათვის ცხოვრობს. სხვის დასანახადაც უნდა სიკეთე, კარგი სახლ-კარი, ჩაცმულობა, ქონება; თუ შენს ირგვლივ არავინაა, ვისაც ამას დაანახებ, გაუზიარებ,—აზრს კარგავს თითქმის ყოველივე სიკეთე.

ხანდახან სევდა დაგძალავს, იტყვი, „ეშმაკმა წაიღოს ყველაფერი, წავალ იქ, სადაც სხვები წავიდნენ, რაღა მე ერთმა ვიტვირთო ყველას საქმე, რაღა მე ერთი ვეხეტო ნამამულარებსა და სხვათა ნასახლარებზე“. იტყვი, მაგრამ მაინც ვერ მიატოვებ მთებს, რადგან იცი — შენღა ხარ იმ დიდი ჯაჭვის ერთადერთი მთელი რგოლი, რომელზედაც ჰკიდია ყოველივე ის, რაც ასე ძვირფასი და გაუმეტებელია ფშაველისთვის.

მამუკას ოჯახი მართლაცდა ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია, რომელზეც დიდი ტვირთი ჰკიდია. ამ რგოლის სიმაგრეზეა დამოკიდებული მძიმე ტვირთის გადარჩენა. ეს ოჯახი სათესლე ხორბლის ის მარცვალია, რომელიც საუკუნეებგამოვლილ ტრადიციებს ინახავს. ინახავს, მაგრამ უჭირს. უჭირს უპირველესი — უადამიანოდ, უმეზობლოდ, უთანასოფლელოდ ცხოვრება.

მამუკა ბობლიაშვილის ოჯახი ერთი იმათთაგანია, რომლებსაც მრავლად შეხვდებით ფშავში. შეხვდებით აქვე, სულ ახლოს, თბილისიდან ასმეოცე — ასმეოთხმოცე კილომეტრზე.

ბობლიაშვილების ოჯახში სამი ბავშვი იზრდება — სამი მომავალი ახალგაზრდა, რომელთა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა იქნება, არ გააქრონ მამაპაპეულ კერაზე ცეცხლი. მოახერხებენ კი ამას? მათი სახლიდან ოცი კილომეტრია იქამდე, სადაც სამანქანე გზა წყდება. ერთადერთი, რაც სამ ბავშვს სამყაროსთან აკავშირებს — ტრანზისტორია. ეს არის და ეს! ამით იწყება და მთავრდება ყველაფერი! უფროსი მალე სკოლაში უნდა წავიდეს, სკოლა კი ოცი კილომეტრის იქითაა — შუაფხოში, სადამდეც მანქანა არ მიდის.

სწორედ ოცი კილომეტრი გზის უქონლობაა მთავარი მიზეზი, რომ ბავშვებს არაფერი უნახავთ. ოცი კილომეტრი — არცთუ ისე დიდი მანძილია, მაგრამ რა დიდი სევდა ახლავს მის უქონლობას! ეს გზა რომ იყოს, მამუკას ოჯახი მარტო არ იქნებოდა ელიაგზაში, არ იქნებოდა ათობით ნასოფლარი უკანაფშავში.

ვისაც უნახავს ნასოფლარი — ჩაქცეული სახლები, შამბით დაფარული კერიები, დამეთანხმება —უადამიანოდ ულამაზესი ბუნება არარაობას უტოლდება. ტყუილად როდი იტყოდნენ ძველად: ჩვენი მტრის კერაზე ამოვიდეს ბალახიო.

მთის სოფლებში, მამუკას მსგავსად, ჯერ კიდევ შემორჩა თითო-ოროლა მოსახლე. ალბათ იმიტომ, რომ ისინი, რაღაც განგებით, მტკიცედ აღმოჩნდნენ მიმაგრებულნი იმ რგოლზე, რომელიც ჯერ კიდევ მთელია. მაგრამ როდემდე იქნება ასე? ყველაფერს ხომ აქვს თავისი დასასრული. მივეშველოთ, ვიდრე ეს რგოლიც გაწყდება, მივეშველოთ, გავამაგროთ, სხვა რგოლებიც აღვადგინოთ, სანამ გვიან არ არის და ხელთ მარტო ცარიელი მთები არ შეგვრჩენია!

უადამიანოდ მთებსაც უჭირთ. ისე უჭირთ, სიარული რომ შეეძლოთ, ალბათ, ადამიანებს ბარში გაჰყვებოდნენ. მივეშველოთ, სანამ ამ ბავშვებსაც არ მიუტოვებიათ აქაურობა. მათი წასვლით აქაური ცხოვრების დასასრულის ჟამი დგება! რა თქმა უნდა, დადგება — თუ გზა, სინათლე, ტელევიზორი, სკოლა და ტრანსპორტი არ იქნა მთაში, თუ მთიელთა შრომას არ შევამსუბუქებთ, საყოფაცხოვრებო პირობებს არ გავაუმჯობესებთ.

ადამიანებმა არ უნდა მიატოვონ მთები! მთიელი კაცის სულს, — მთასავით მაღალს

და მთის ნაწილს, — არ უნდა მოეკიდოს ობი, არ უნდა გაებზაროს, არ უნდა დაენგრეს რწმენისა და იმედის ბომონი, არ უნდა დაავიწყდეს წინაპართა სალოცავები და საფლავები.

მთიელთა მიგრაცია მარტო ჩვენი საუკუნის სენი როდია. საუკუნეთა განმავლობაში მთა იყო განუწყვეტელი ომების დროს ბარის შეთხელებული მოსახლეობის ერთ-ერთი შესავსები რეზერვი. ბარის რეგიონები სისტემატურად ივსებოდა მთის ჭარბი მოსახლეობით, რაც ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისთვის ხდებოდა. ფშავი ყოველთვის მჭიდროდ დასახლებული კუთხე იყო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში რაფიელ ერისთავმა აღწერა მთის კუთხეები. უკანაფშავში მაშინ თურმე 529 კომლი ცხოვრობდა — 3884 სულით. დღეს კი ამავე ტერიტორიაზე 69 კომლი ცხოვრობს და მოსახლეობის რაოდენობა 188 სულს შეადგენს. მიგრაცია გრძელდება. თვალსა და ხელს შუა ქრება, თავის სახესა და თვითმყოფადობას კარგავს ფშავი. აქაურები წინათ აგრერიგად არ დაგიდევდნენ ქონებას: მათთვის სახელი, მართალი, კაცური კაცის სახელი მთელი ქვეყნის ქონებას გადაწონიდა. ბარად წასულები თანდათან კარგავენ სადად ცხოვრების ტრადიციას, ივიწყებენ უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებას, ხალხურ ხელსაქმეს, დავიწყებას მიეცემა სახალხო დღესასწაულები. საძირკველი შეერყა მთიელთა მთებისადმი უსაზღვრო სიყვარულსაც, დღეს ერთეულებსღა აქვთ უფლება თამამად თქვან: „არ გავცვლი სალსა კლდეებს"...

მამუკას არ გაუცვლია! არა იმიტომ, რომ სხვებზე ნაკლებ სურდა ბარის დალხინებული ცხოვრება, არც იმიტომ, რომ ბარში ვერ გაძლებდა. არა, არ შეეძლო მთის დატოვება და იმიტომ! კაცური კაცის სახელი ჰქონდა, მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი, მაგრამ ადრეულად ჩაუქრა თვალთა ნათელი; რამდენი წელია ბორბალოზე მზის ამოსვლას მამუკა გუმანითღა გრძნობს; გონების თვალით ხედავს ბავშვებსაც, — მის კერას სიცოცხლითა და ჟრიამულით რომ ავსებენ. გული სტკივა მამუკას, ხანდახან გამომლაპარაკებელიც არავინა ჰყავს — შინაურები საქმეზე არიან გასული — ერთი მეზობელი მაინც ჰყავდეს. მიუჯდებოდა გვერდით და ეტყოდა — რატომ გაიქცნენ ბარში ფშავები? მოეთმინათ, იქნებ ცხოვრება გაუმჯობესებულიყო, ხომ ამბობენ, მალე უკანაფშავის გზის მშენებლობა დაიწყებაო, აქაც ამოაღწევს მანქანა, სინათლე, მაშინ ხომ აღარ წახვალთ, ხალხო, გზა და სინათლე რომ იქნება, რისთვისღა წახვალთ ბარში? ჰა? მე ვეღარ შევესწრები ამას, მაგრამ ე ბალღები ხო გაიხარებენ.

ფიქრობს მარტოდმარტო დარჩენილი მამუკა და სახლის წინ ჯოხის კაკუნით დადის. მწუხარეა და სევდის მომგვრელი ეს კაკუნი. თუ ძაღლებმა უცხო იყნოსეს, ყეფას ასტეხენ, მამუკა საჩქაროდ თავის სამყოფელს მიაშურებს, სიამაყე ნებას არ აძლევს — ასე დაბეჩავებული ეჩვენოს უცხოს.

თუ უცხო ვინმე მის ნახვას მოისურვებს, შინაურების პირით შემოთვლის, შეუძლოდ ვარ, რევაზი მანდ არის და ყველაფერზე ის გაგცემთ პასუხსო...

რევაზი ეწევა მამის მაგივრობას. ესეც მამის მადლია, მამუკას გაუტეხლობა რომ არა, რევაზი ახლა აქ არ იქნებოდა. სწორედ მამუკას დამსახურებაა, რომ კერაზე ცეცხლი ანთია და ოჯახი მტერსაც ხვდება და მოკეთესაც. ფშავის საზღვარზე, ბორბალოს მთის ძირას, სტუმარი ახლა ბობლიაშვილთა ოჯახებით ბუხრის სითბოსაც შეიგრძნობს და ქართული სტუმართმოყვარეობის სიკეთესაც.

სტუმრის მოსვლა უხარიათ, როცა მარტონი რჩებიან, უფრო საგრძნობია მოლოდინის მტანჯველი გრძნობა. რას ელოდებიან? თავადაც ვერ გეტყვიან რას. ისე კი, ალბათ, იმათ ელოდებიან — წასულებსაც და წამსვლელებსაც, გზასაც და სინათლესაც, მანქანასაც და ტელევიზორსაც... ასეა, მთაში ყოველთვის რაღაცას ელიან — ზაფხულში შემოდგომას, შემოდგომაზე დიდთოვლობას, ყველაზე მოუთმენლად მაინც გაზაფხულს ელიან მთაში, ნაგვიანევს, მაგრამ ლამაზ გაზაფხულს.

კიდევ რას ელის მამუკა, უსინათლო მოხუცი? ძნელი სათქმელია, თავად არაფერს ამბობს, მაგრამ, მე მგონია, ნათელს ელის, ნათლის სულ მცირე სხივს: თვალახელილი ბერიკაცი ამაყად და ლაღად ხელგაშლილი შეეგებება მთაში ამობრუნებულ ფშაველებს.

ჩვენი გამარჯვებული რესპუბლიკა ამ ოცნების საფუძველს აძლევს მას!

# დიდოსტატები

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ჯავახიშვილი მე-20 საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ბრწყინვალე მომთხრობელობითი ნიჭი, ხასიათების დანახვისა და გამოხატვის გასაოცარი უნარი, ქართული ენის სტიქიაში გამოვლინებული ეპიკური, ხატოვანი სტილი ანიჭებენ მას ქართული პროზის დიდოსტატის ყველა მაღალ ღირსებასა და თვისებას. მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში ჩვენ არ გვეგულება მეორე პროზაიკოსი, რომელიც უფრო ერთგული და თანამიმდევარი დამცველი ყოფილიყოს რეალიზმის პრინციპებისა, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილი იყო. მიხეილ ჯავახიშვილი გვხიბლავს დიდი რეალიზმით, ხორცსავსე და სისხლსავსე ადამიანების ცოცხალი ხასიათებითა და პორტრეტებით. რეალიზმი და სწორედ რეალიზმი იყო მიხეილ ჯავახიშვილის მწერლობის ძირითადი ფუძე, ნიადაგი და სათავე.

სერგი ჭილაია

მამულიშვილი,
ქართლის მხატვარი

გადადნი, როგორც ალმურზე თოვლი,
მით ხომ სიცოცხლე გადაჰწვულა!..
შენი ნაბრძოლი, გულით ნათრთოლი,
ხვავად ქცეულა და განძეულად!

გიორგი ლეონიძე





- დილა ჩაის პლანტაციაში.
- შესვენებაზე.

საინტერესო საუბარი.

- ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის შოთა რუსთაველის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიე ვარდო პერტაია.
- ცნობილი მეჩაიე ეთერ ცირამუა საბავშვო ბაღში აცილებს შვილიშვილებს.
- კონცერტი ჩაის პლანტაციებში.
- ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს მოწინავე მეჩაიეს მერი პაპავას პლანტაციაში გადასცეს ფასიანი საჩუქარი.










ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩხოროწყუს რაიონში

გივი კიკვაძის ფოტო.





შარლოტა კვანტალიანი

## მზის საგალობელი

ღრუბლების საქანელაზე დილა მტრედივით ზის,
ცაზე აენთო სინათლედ საგალობელი მზის.
მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები მთებს,
ღილილოებით მოგირთავ ოქროდ ჩამოშლილ თმებს.
მზეო, სიცოცხლით ამავსე, ცასთან სიმღერით მიჳედი,
შენ ჩემი სალოცავი ხარ და ჩემი იმედი.
ბედის უჩინარ მდინარეს ნუ აცვლევინებ გზას,
ნუ გამიჩუმებ სიმღერას და სიხარულის ზარს.
თუ ზოგჯერ დამემალები, წვიმა ტირილით ცრის,
მზე დედა არის ყოველთა, მზე — დედოფალი ცის.
მზეო, სიცოცხლით ამავსე, ცასთან სიმღერით მიჳედი,
შენ ჩემი სალოცავი ხარ და დიდი იმედი.

## ნაადრევი გაზაფხული

რამ აგაყვავათ იანვარში, ატმის ხეებო,
რამ გაგახარათ ძალიან,
თქვენი ზღაპრული დედოფალი მართლა მზეა თუ
მკერდსისხლიანი ამორძალია!
აუტირდება ხმალდაკრული ძუძუ ამორძალს,
შემობრუნდება ზამთარი,
როგორც მერანზე ამპარტავნად ამხედრებული
თეთრჩოხიანი ნათავადარი.
გაგეყინებათ სიხარული და ყვავილები,
გაგიფრინდებათ ცრემლებად
და გულკეთილი სიზმრებიდან დაბადებული
ნატვრის ხეები მოიცელება.
რამ აგაყვავათ იანვარში, ატმის ხეებო,
რამ გაგახარათ ძალიან,
თქვენი ზღაპრული დედოფალი მართლა მზეა თუ
მკერდსისხლიანი ამორძალია!

## ზ ღ ვ ა

ზღვის სუნთქვიდან მოხვედი ტკივილგაუყუჩები,
მე გელოდი უხმოდ,
მომიტანე ზღაპარი მარილიან ტუჩებით,
იდუმალი სევდის საპასუხოდ.
მომიტანე ზღაპარი მარილიან ტუჩებით,
ზღვას სიმშვიდე ეცვა.
ღილინებდა ნაპირი, ჩვენ ვიყავით მუნჯები,
ღამის ფრთებიც ზღვაში ჩაიკეცა.
ღილინებდა ნაპირი, ჩვენ ვიყავით მუნჯები,
დავემალეთ ეჭვებს.
ზღვის სუნთქვიდან მოხვედი ტკივილგაუყუჩები,
ჩვენს ხელებში ჩაეძინათ კენჭებს.
ზღვის სუნთქვიდან მოხვედი ტკივილგაუყუჩები,
მე გელოდი უხმოდ,
მომიტანე ზღაპარი მარილიან ტუჩებით,
იდუმალი სევდის საპასუხოდ.

## ა მ ა ღ ლ ე ბ ა

ვემალები მოგონების ტყეში
მივიწყებულ წამს,
დამეკარგა მონადირის გეში,
ახლა ღმერთი სიყვარულის უმიზეზოდ მწამს.
თვალებია მდუმარების ზართან
დაფეთებულ შვლის.
დაუგია თეთრი ქეჩა ზამთარს
და სიჩუმე ძველ ბილიკებს სამუდამოდ შლის.
შემომახვევს გამხდარ ხელებს ქარი,
ზამთარივით ცივს,
გახსნილია სიხარულის კარი
და მკლავები მელოდება შეყვარებულ ცის.
ავედევნე მოგონების ტყეში
მივიწყებულ წამს,
დამეკარგა მონადირის გეში,
ახლა ღმერთი სიყვარულის უმიზეზოდ მწამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თუკი ყველაფერს დაარქმევთ სახელს,
როგორღა გითხრათ —
ამ ლამაზი სევდის მიზეზი
უსახელო დარდია-მეთქი...

* * *

როცა მოვიწყენ თქვენი ხმაურით,
ჩუმად გშორდებით
და ქურდულად მოვიპარები ცივ სამოთხეში —
ჩემს მშვენიერ სიმარტოვეში.

* * *

მე თქვენ მიყვარხართ! —
ვერ ვიკავებ თავს ამის თქმისგან,
როგორც კვირტი, უცაბედად ამღერებული,
მზის პირველი ამბორის შემდეგ.

## მიჭირისუფლე, ამი...

მიჭირისუფლე, ამი, მზე შემოდგომას ტოვებს,
მიჭირისუფლე, თორემ მარტო შევრჩები თოვას.
შემომაპარებს თოვლი თავის გაყინულ ტორებს,
ქარი ხელიდან მართმევს ფოთლის ნაფერებ გროვას.
მიჭირისუფლე, თორემ მარტო შევრჩები თოვას.
დააფარებენ დილას გაუმჭვირვალე ფატას.
ქარი ხელიდან მართმევს ფოთლის ნაფერებ გროვას
და ღია ბარათებად ვიწრო ქუჩებში ფანტავს.
დააფარებენ დილას გაუმჭვირვალე ფატას,
გაუჩერდება მაჯა აქამდე უკვდავ დროჟამს .
და ღია ბარათებად ვიწრო ქუჩებში ფანტავს
მზით ამღერებულ ფოთლებს, როგორც ოქროსფერ დროშებს.
გაუჩერდება მაჯა აქამდე უკვდავ დროჟამს,
მზე შემოდგომას ტოვებს, ცა დაბრმავდება, ამი,
მზით ამღერებულ ფოთლებს, როგორც ოქროსფერ დროშებს,
გადაეხსნებათ ცა და აუბრწყინდებათ ნამი.
მზე შემოდგომას ტოვებს, ცა დაბრმავდება, ამი,
მოენატრებათ კვირტი უკვე გაქურდულ რტოებს,
გადაეხსნებათ ცა და აუბრწყინდებათ ნამი,
მიჭირისუფლე, ამი, მზე შემოდგომას ტოვებს.

## ია-ბატონები

ბატონები დაუბრძანდა ცას,
მომენატრა ზეცის ხელში აყვანა,
ვარსკვლავებმა სიცხიან ტანზე გამოაყარა,
მივუმღეროთ სანამ დილა აისხამდეს ცვარს:
„ვო, ია და ია ვოდა, ია-ბატონებო,
ია და ვარდი გფენია, ია-ბატონებო,
გვიკადრე და დაგვიბრძანდი, ია-ბატონებო,
მე დაგიდგი ოქროს ტახტი, ია-ბატონებო".
ირმის ნახტომს ფერი ადევს რძის,
ალიონზე მთვარე ჩამოილვენთა.
ანგელოზმა ანთებულ ციდან ჩამოიხედა,
მივუმღეროთ სანამ ზეცა ინებებდეს ძილს:
„ვო, ია და ია ვოდა, ია-ბატონებო,
ია და ვარდი გფენია, ია-ბატონებო,
მაღალ ზეცას მოუშუშე, ია-ბატონებო,
უნაკლოდ და უტკივილოდ, ია-ბატონებო".
ბატონები დაუბრძანდა ცას.

* * *

მე დავსეირნობ ახლა ღრუბლის თეთრი ეტლებით
და ძალზე მინდა, დავივიწყო ყველა ნაცნობი, —
მხოლოდ თქვენ ერთი არ მემეტებით.
მოგონებები ძვირფასია და უამური,
ფანჯრის რაფაზე დამხობილი ტირის ამური.

# არაგვის ხეობაზედა

**ალექსანდრე ტაბატაძე,**
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

საქართველოს სამხედრო გზის პირას, მწვანე ბორცვზე მდგარი, შავი და თეთრი არაგვის შესაყართან გადაშლილ პეიზაჟს გადავყურებ. ქვემოთ უზარმაზარი სამშენებლო მოედანია — აქ უკვე რამდენიმე წელია ჟინვალჰესის მშენებლობა მიმდინარეობს. ტრაქტორები და ბულდოზერები გუგუნებენ. ცემენტის ფერი სჭარბობს ყველა ფერს, ხოლო ზემოთ, გზისპირას, სადაც მე ვდგავარ, პაწაწინა ცისფერი ყვავილები ამოსულან და ნელინელ ირწევიან. მახსენდება ერთსტროფიანი ლექსი, აქაურ კაცს რომ უთქვამს და პირველად ალექსი ჭინჭარაულისაგან გავიგონე:

არაგვის ხეობაზედა
ერთი ყვავილი ჰყვავისო,
იმას ხელ არავინ ახლოს,
თავის პატრონი ჰყავისო!

* * *

გამოჩნდნენ მშენებლები არაგვის ხეობაში. მიზანი ნათელი იყო: სოფელ ჟინვალთან, სადაც ორი არაგვი ერთმანეთს შეერთვის, უნდა აშენდეს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ყოველწლიურად 500.000 კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოგვცემს. არაგვის წყალი ჭოპორტის და საგურამოს მინდვრების გავლით ჩავა თბილისში. წყლის ნაწილს სასმელად გამოიყენებენ, ნაწილი კი თბილისის ზღვას შეუერთდება. თბილისი ყოველ წამში მიიღებს დამატებით 5.000 ლიტრ სასმელ წყალს, ხოლო თბილისის ზღვაში ჩამდინარე არაგვის წყალი მელიორატორებს საშუალებას მისცემს დამატებით ათასობით ჰექტარი მიწა მორწყან.

აი, ასეთი საშვილიშვილო მისიით მოვიდნენ არაგვის ხეობაში მშენებლები. მოვიდნენ და მას მერე არ შეწყვეტილა თვითმცლელების გუგუნი, ბულდოზერების როხროხი, ბეტონის ამრევების ხრიალი...

იმდენად გრანდიოზული და მასშტაბურია მშენებლობის პანორამა, რომ ძნელია, ერთბაშად გაერკვე, სად რა შენდება. ამას ზედ ერთვის ისიც, რომ მთავარი სამუშაოები მიწისქვეშ ტარდება. გვირაბგამყვანები, მებეტონეები, ელექტრიკოსები და სხვანი მიწის სიღრმეში 80-100 მეტრის ქვემოთ ებრძვიან მთის ქანებს, გაჰყავთ გვირაბები, ასრულებენ სხვადასხვა ურთულეს სამშენებლო სამუშაოს.

მშენებლებს, ჟინვალჰესის კომპლექსის მშენებლობის სამმართველოს უფროსს ავთანდილ ჩალაძეს და პარტიის დუშეთის რაიკომის პირველ მდივანს ჰამლეტ კერესელიძეს კაშხალზე შევხვდი.

აქ გავიგე, რომ არაგვს სპეციალური გვირაბით თურმე ჯერ მიმართულება შეუცვალეს, შემდეგ კი ხეობის ვიწრო ყელში გრუნტის დაყრა და დატკეპნა დაიწყეს. ხუთი მილიონი კუბური მეტრი გრუნტი უნდა ჩაიყაროს, რომ ასი მეტრი სიმაღლის ჯებირი აშენდეს და არაგვი დაგუბდეს.

კაშხალის სიმაღლე ახლა 58 მეტრია.

ჩვენ სწორედ ამ 58-მეტრიან სიმაღლეზე ვდგავართ. რაიკომის მდივანი და მშენებლობის უფროსი ყველა გვირაბის თუ სანგრევის ხშირი სტუმრები არიან. ახლაც, ხელმძღვანელები რომ შენიშნეს, მუშები მათკენ გამოემართნენ. აქ ვესაუბრე მებეტონეთა ბრიგადირს ბიძინა გვიანიშვილს, ჰიდროელექტროსადგურის სამანქანე შენობის ინჟინერ-მექანიკოსს ელგუჯა მუსელიანს. მალე პირველი უბნის უფროსი დიმიტრი გზირიშვილიც გამოჩნდა. მასთან და თბილისის სამთო მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ედუარდ გოგიასა და გოჩა ყიფიანთან ერთად ვიმოგზაურე მიწისქვეშა გვირაბში. მოწმე გავხდი მნგრეველთა ვაჟკაცური საქმიანობისა. აი რამდენიმე მშენებლის ნაამბობი.

**ბიძინა გვიანიშვილი:**

— მშენებლობაზე შვიდი წლის წინ მოვედი. მაშინ მუშაობა ჭირდა — გეგმები არ სრულდებოდა. შრომის და ცხოვრების პირობები არასახარბიელო იყო. მუშახელის დამაგრება ვერა და ვერ ხერხდებოდა. მოვიდოდა ახალგაზრდა კაცი, რამდენიმე თვე წაიმუშავებდა, პროფესიას დაეუფლებოდა და უკვე სხვაგან გაქცევაზე ეჭირა თვალი...

უკვე სამი წელია, მებეტონეთა ბრიგადას ვხელმძღვანელობ. საქმეები ახლა კარგად მიდის, ბრიგადაში ყოჩაღი ბიჭები არიან. ამ სამ წელიწადში ბევრი სიძნელე შეგვხვედრია და დაგვიძლევია. რა დამამახსოვრდა ყველაზე მეტად ამ სამი წლის მანძილზე? დაუფიქრებლად გეტყვით — მესამე და მეოთხე სანგრევების შეერთება. ამ ამბის მონაწილე თუ არ იქნა კაცი, ისე ძნელად გაიგებს, რას ნიშნავს სანგრევების შეერთება. მიწისქვეშ ორი ერთმანეთისკენ მიმავალი გვირაბი გაგვყავს. ყოველი მეტრი გვირაბის გაყვანას დიდი გარჯა და ოფლი სჭირდება. მიდიხარ წინ და აღარ თავდება მანძილი შემხვედრ გვირაბამდე. გგონია, საცაა დედამიწის მეორე მხარეს გაყოფ თავს. გვირაბგამყვანები ბურღავენ, აფეთქებენ, არღვევენ მილიონი წლობით ერთმანეთზე მიჯრილ ქანებს. ჩვენ, მებეტონეები, მათ კვალდაკვალ მივდევთ და ბეტონის თაღით ვამაგრებთ გამოთხრილ გვირაბს. ასე გრძელდება ყოველდღე. მერე დგება მომენტი, როცა გვირაბებს შორის მანძილი მცირდება და უკანასკნელი აფეთქება საბოლოოდ შლის დაცილების საზღვარს. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ზღაპრის გმირი იყო, ის გმირი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, მეცხრე თავიც წააცალა ურჩხულს.

ჩაბრძანდებით გვირაბში, დაათვალიერებთ და ალბათ ყველაფერში დამეთანხმებით.

**ელგუჯა მუსელიანი:**

— ჩვენგან ოციოდე ნაბიჯზე, მიწისქვეშა უზარმაზარი დარბაზი შენდება. ამ დარბაზს უკვე აქვს თავისი ბეტონის თაღი. ახლა ქანების ამოღება და ჩაღრმავება წარმოებს. დარბაზში ბულდოზერიც კი მუშაობს. ეს დარბაზი მომავალი ჰიდროელექტროსადგურის ნაგებობა იქნება: ოთხი ტურბინიდან აქ შეჭრილი არაგვის ტალღები მძლავრად აამუშავებს სადგურს.

ალბათ გაინტერესებთ, როგორ მოვხვდი ლენტეხელი კაცი არაგვის ხეობაში? ლენტეხში ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორად ვმუშაობდი. პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ. მოგეხსენებათ, ყველა სვანი მთის მწვერვალებისაკენ მიისწრაფვის, სულ მაღლა და მაღლა მიუწევს გული. სიმართლე გითხრათ, [illegible] ტა სურვილი — ჩამეხედა მიწის გულში. პარტიის ლენტეხის რაიკომის მდივანს განცხადება დავუწერე — ჟინვალჰესის მშენებლობაზე მინდა წავიდე-მეთქი სამუშაოდ. პარტიის წევრი ვარ და აღრიცხვიდან ხომ უნდა მოვხსნილიყავი. ბევრს უკვირდა, კაცი დირექტორია და მიწის ქვეშ რა უნდაო?! ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. ბოლოს, რაიკომი დავითანხმე. და აი, ერთი წელია, უკვე აქა ვარ. ვმუშაობ ჰესის ინჟინერ-მექანიკოსად. ხელმძღვანელობა ჩემი მუშაობით უკმაყოფილო არ არის. ცოლშვილით ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ. სულ მალე დამთავრდება ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ჩემი ოჯახი კვლავ ახალმოსახლობას იზეიმებს.

ჩვენს დარბაზში ხშირად მიწევს ჩასვლა. ბიჭები მართლაც ლომებივით მუშაობენ. მძიმე შრომაა, მაგრამ საპატიო და საამაყო. არაერთხელ დავფიქრებულვარ მნგრეველთა შრომის შემსუბუქებაზე. სწორედ ამან მიკარნახა, რომ გრუნტის საბურღი დაზგა გადამეკეთებინა. ჩემი წინადადებით, ბურღვის დროს დაზგიდან დავიწყეთ წყლის გამოსხურება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მტვერს. ეს, რა თქმა უნდა, გააადვილებს შრომას.

ჩემი წინადადება მალე დაინერგება წარმოებაში და, დარწმუნებული ვარ, ბიჭებს მოეწონებათ.

**ამირან მოთიაშვილი:**

— საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა ფასანაურში ამბავი მოვიდა, ჟინვალჰესი უნდა აშენდესო.

არასოდეს დამავიწყდება 1975 წლის 15 აპრილი. გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. მეშახტის ფორმა ჩავიცვი და სხვებთან ერთად სატვირთო ლიფტით მეოთხე სანგრევში ჩავედი.

პირველი შთაბეჭდილება ერთობ ძლიერი იყო, მიკვირდა და მიხაროდა: მიკვირდა,

რომ ადამიანის გონებას და მარჯვენას ძალუძს თავის ნება-სურვილს დაუმორჩილოს დედამიწის გულში არსებული კლდეები, ხოლო მიხაროდა ის, რომ ერთ-ერთი ისეთი ადამიანი მეც ვიყავი.

შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოთ, რა საოცარი სურათის მოწმე ხდება მიწის გულში ჩასული კაცი: გრუნტი დანაღმეს, გაისმის აფეთქების ხმა, მტვერში ეხვევა ყოველივე... მერე სიმშვიდე ისადგურებს, ხელში იღებ გამონგრეულ გრუნტს და ფიქრობ, — ვინ იცის, რამდენი მილიონი წელია უძრავად იყო ყველაფერი ეს, რამდენ ხანს კიდევ იქნებოდა ასე, შენ რომ არ მოსულიყავ მასთან, არ დაგერღვია მისი სიმშვიდე, ხალხის სამსახურში არ ჩაგეყენებინა მიწის გული...

მიხარია, რომ ჩემი შრომა ხალხის სიკეთეს ხმარდება. ის ფაქტი, რომ მე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად ამირჩიეს, ჟინვალჰესის კომპლექსის ყველა ახალგაზრდა მშენებლის დიდი დაფასებაა...

**დიმიტრი გზირიშვილი:**

— თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ექვსი სპეციალისტი გაგვანაწილეს ჟინვალჰესის კომპლექსზე. თითქმის ხუთი წელი მესამე უბნის უფროსად ვიმუშავე. წელიწადნახევარია პირველი უბნის უფროსი ვარ. ეს უბანი ყველაზე ძნელი უბანია. ჯერ ერთი, გვირაბში მეტად რთული ქანები დაგვხვდა, — ასეთ რთულ ქანებს სარკისებურს ეძახიან (ეს ტერმინი ქართველმა სამთოელებმა შემოიღეს). მუშაობის პროცესში ასეთი ქანები ადგილს იცვლიან, ხშირია ჩამოქცევის შემთხვევები. ჩვენ უკვე ასი მეტრი გავიარეთ ამ გვირაბში, თითქოს დიდი მანძილი არ არის — ორი თვის სამუშაოა, მაგრამ იცით რის ფასად დაგვიჯდა ეს ასი მეტრი? ათჯერ მაინც მოხდა ქანების ჩამოქცევა. თითოეულ ჩამოქცევას უამრავი შრომა და დამატებითი დრო მიაქვს. ასობით ტონა ჩამოქცეულ გრუნტს, მოგეხსენებათ, რა ძალა ექნებოდა. ჰოდა, იძულებულნი გავხდით გამზადებული ბეტონის კედელი გაგვეხვრიტა, მეორე მხარეს გავსულიყავით, ბარით გამოგვეღო გრუნტი და ხელმეორედ დაგვეწყო დაბეტონება. აი, ასეა ამ კედლის იქით მეორე ბეტონის კედელი ჩასხმული. პირველ კედელს მალე კომპრესორით მოვანგრევთ და მეორე კედელი შეასრულებს დანიშნულ ფუნქციას.

გვირაბი, რომელიც ახლა გაგვყავს, წყალგადასაყვანია. ესე იგი, ელექტროსადგურში გავლილი წყალი ამ გვირაბით წავა თბილისისკენ. გასაყვანი დაგვრჩა 800 მეტრი გვირაბი. ესაა ახლა ყველაზე მთავარი უბანი. ჩვენ ვაშენებთ აგრეთვე სამანქანე შენობას, რომელშიც ჰიდროელექტროსადგური მოთავსდება. წარმოდგენა რომ გქონდეთ დარბაზის მასშტაბებზე, გეტყვით, მისი თაღი მიწის ზედაპირიდან რვა მეტრის ქვემოთაა. დარბაზის სიგანე 15 მეტრია, სიგრძე — 75 მეტრი, ხოლო სიღრმე — 42 მეტრი. დარბაზი მთლიანად მოექცევა ბეტონის საფარში და ისე დაიწყება მოწყობილობათა დამონტაჟება. ჩვენ კარგად ვიცით, ჟინვალჰესის ჰიდროტექნიკური კომპლექსის დამთავრება მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებაშია გათვალისწინებული. ამიტომ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

* * *

იმავე სატვირთო ლიფტით ამოვდივართ მიწის ზემოთ. ისეთი მზიანი, მშვიდი ამინდია, სხვა ვერც კი იფიქრებს რომ მიწის გულში იქაურობას აყრუებს ლაღუმების გრუხუნი. საბურღი დაზგების ქოთქოთი, ბულდოზერის გუგუნი. მე უკვე ვიცი: ქვევით, პროჟექტორების შუქზე, სწრაფად მოძრაობენ მებეტონეები და მნგრეველები, გრუნტით დატვირთული ვაგონები და დამხმარე მუშები. ყოველი საათი, ყოველი წუთი აახლოებს ჰიდროტექნიკური კომპლექსის გრანდიოზული ნაგებობის მშენებლობის დამთავრებას.

...მშენებლობის უფროსის ავთანდილ ჩალაძის კაბინეტში ვართ. მრავალსართულიანი ადმინისტრაციული სახლის ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს ახალი ჟინვალის პანორამა. მშენებლობის დაწყებამდე აქ ერთი სახლი არ იდგა. ახლა ჩვენ წინაა თანამედროვე კეთილმოწყობილი დაბა — თავისი სკოლით, საავადმყოფოთი, უნივერმაღით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით, მოასფალტებული ქუჩებით, მწვანე სამოსელით... სხვათა შორის, ადმინისტრაციული შენობის წინ გამავალ ქუჩაზე ასამდე ძირი მოზრდილი ხე შრიალებს. ისინი წყალსაცავის ზონაში მოხვდნენ, მაგრამ მშენებლებს დაენანათ მოსაჭრელად. ფესვებიანად ამოიღეს და აქ გადმორგეს. ახლა მათი სიმწვანე თავისებურ ეშხს ჰმატებს დასახლების ამ უბანს.

ავთანდილ ჩალაძე მომავალ ამოცანებზე გვესაუბრება:

— კომპლექსის მშენებლობა 205 მილიონი მანეთი ჯდება. დღეისათვის ათვისებულია 114 მილიონი მანეთი. უკანასკნელი ორი წელია, მშენებლობაზე წარმატებით სრულდება სახელმწიფო გეგმები. ამას ხელი შეუწყო მრავალმა გარემოებამ. მაგალითად, მუშაობის საიჯარო-ბრიგადული მეთოდის დანერგვამ, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ.

დღეს ჩვენ [illegible] გვირაბგამყვანებს და მებეტონეებს [illegible] ლექტებლად. მუშების დიდი ნაწილი ადგილობრივი კადრებია. ამიტომ ჩვენი მუშაობაც უფრო სტაბილური გახდა.

დასამალი არ არის, რომ ამჟამად დედაქალაქს უჭირს სასმელი წყალი. გარდა ამისა, წყალს ელის ურწყავი მიწები, ხოლო ელექტროენერგიას — ფაბრიკა-ქარხნები, ამიტომ, ჰიდროკომპლექსის მშენებლობა უნდა დაჩქარდეს. ეს მეტად რთული პროგრამაა. მაგრამ ჩვენ უკან არ დავიხევთ.

უკვე გამოიკვეთა საფინიშო ზღვარი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ზღვრამდე წარმატებით მისასვლელად. ეს საპატიო ამოცანაა და მისი გადაწყვეტისათვის დიდი შრომის დახარჯვა მოუწევთ მშენებლებს. ისეთი ბიჭებისათვის კი, აქ რომ გაიცანით, შეუძლებელი არაფერია!



# ვაზო, შვილივით ნაზარდო!..

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი,**

„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

ვანის რაიონის ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა გრიგოლ მაღლაკელიძე სამოცდათხუთმეტ წელიწადს მიტანებული ჯანმაგარი კაცია. გამორჩეული სიყვარულით საუბრობს იგი ვენახზე, რაღაც უცნაური სხივი უკრთის თვალებში, სწორედ ისეთი, სახელოვანი შვილის ქება-დიდებისას რომ აუკიაფდებათ ხოლმე მოხუც მშობლებს:

გრიგოლ მაღლაკელიძე ერთი იმ გლეხკაცთაგანია, რომელთა მსგავსნი ქვეყნის სიმტკიცეს საყრდენებად რომ უდგანან და ლიბოს უმაგრებენ. მისი წუთისოფელი სიკეთისა და პატიოსნების სამსახურში გაფრენილ წელთა გახსენებაა. ამ გზაზე გაჭირვებაც ბევრი უნახავს და დალხინებაც, რწმენა არასოდეს გაბზარვია, ჭირს ძაბუნად არ უქცევია, ლხინსა და წარმატებას თავბრუ არ დაუხვევია.

ზის ახლა გრიგოლ მაღლაკელიძე და მოკრძალებით იხსენებს თავისი ცხოვრების განვლილ გზას. საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანმა 1931 წლიდან — მის მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობის შექმნიდან დღემდე რომ განვლო. ორმოცდაათი გრძელი წელიწადი გავიდა მას შემდეგ. ორმოცდაათჯერ მობრუნდა გაზაფხული, ვენახში ორმოცდაათჯერ გატანილმა გუთანმა ღრმად გაავლო სიკეთისა და პატიოსნების ხნული. ამ ხნის მანძილზე დაღვრილი ოფლი, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვასაც აბრუნებდა, მაგრამ გულს დაღლა და ტკივილი არასოდეს შეჰპარვია, რადგან საქმის სიყვარულით შრომობდა.

ასე გაინასკვა გრიგოლ მაღლაკელიძის ოჯახის მკვიდრი საძირკველი, ასე წამოიმართა მის ფუძეზე მოხდენილი სახლი, ასე შემოვიდა და დაბინადრდა ამ კარმიდამოში თანამედროვე ცხოვრების სიკეთე.

გრიგოლ მაღლაკელიძის მიერ ჩარგულ პატიოსნების ნერგს ხალხის თბილი გული დახვდა ნიადაგად. ამ ნერგმა სწორედ ამიტომ აიყარა ტანი, უხვი ნაყოფით დაიხუნძლა, გლეხკაცს საქვეყნო ქება-დიდება მოუტანა.

თავშეკავებული სიამაყით გამოაქვს გრიგოლს აივანზე მისი კაცობისა და გარჯის დამადასტურებელი ჯილდოები: ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და ახლახან შემომატებული შრომის წითელი დროშის ორდენი.

ეს სახელდიდება, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოსულა.

— ვენახი, რომელსაც ამჟამადაც ვუვლი, — ამბობს ხანდაზმული მევენახე, — კოლმეურნეობამ 1955 წელს ჩამაბარა. 4600 კვადრატული მეტრი ნაკვეთი სრულიად მოუვლელი იყო. გახმობის პირას მისული გამეჩხრებული ვაზი შველას ითხოვდა.

საცდელი არ დავაკელი: გაბერწებულ მიწას მზრუნველი ხელი შევაშველე, მეჩხერი ადგილები ახალშენით შევავსე. პირველ წელიწადს მხოლოდ 2500 კილოგრამი ყურძენი ჩავაბარე სახელმწიფოს. გამომშრალ მიწაში თანდათან ჩადგა რძე, თანდათან იმატა ხვავმა და ბარაქამ, მოწეული ყურძნის ტონები სწრაფად გაიზარდა...

ასე ავიდა ეს რიცხვი 15 ტონამდე! შარშან გრიგოლ მაღლაკელიძემ თავისი პატარა ნაკვეთიდან რეკორდული მოსავალი მიიღო. შარშანდელი წელიწადი გამონაკლისი როდია! ამ წარმატებებმა გაახმაურა მისი სახელი რესპუბლიკაში.

სამი ვაჟი ჰყავს გრიგოლ მაღლაკელიძეს. სამივე მეურნეობაში მის გვერდით შრომობს და მამის კვალზე დგას. სხვაგვარად არც შეიძლება: კაცი, რომელმაც საკოლმეურნეო შრომის სახელოვანი გზა განვლო, კაცი, რომელიც დიდ სამამულო ომში იარაღით ხელში გმირულად ებრძოდა მტერს, ჭრილობებით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და ისევ შრომას შეეჭიდა — სხვაგვარი რწმენით ვერც გაზრდიდა შვილებს!

სოფელსაც უყვარს ეს მართალი და ენერგიული კაცი. გრიგოლ მაღლაკელიძის ცხოვრებაში ბევრია კეთილად მოსაგონარი დღე. მათ რიცხვშია 1976 წლის ის საღამოც, როცა თანასოფლელებმა, მთელმა რაიონმა 70 წლის იუბილე გადაუხადეს.

წელთა სიმრავლემ ვერ გატეხა ჭარმაგი მევენახე. ახლაც მუხლჩაუხრელად დასტრიალებს ვენახს.

გრიგოლ მაღლაკელიძე თავისი ცხოვრებით მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლის ჭირთან და ლხინთან. სოფელს, მიღწევებთან ერთად, გადასაწყვეტი პრობლემებიც ცოტა როდი აქვს. ამიტომაც, ჩვენი საუბარი სოფლის სატკივარსაც გადასწვდა.

შეკითხვაზე, საქონელი თუ გყავს? — გრიგოლმა მიპასუხა:

— კი, ერთი ძროხა მყავს, მაგრამ მიჭირს შენახვა. სოფელში ხელისგულისოდენა ადგილი არსად დავტოვეთ, სადაც პირუტყვის მობალახება შეიძლება. ამიტომაც ხან მე, ხან კიდევ ოჯახის სხვა რომელიმე წევრი ვაბალახებთ ძროხას ვენახის კიდეებზე, ხან ხელით ვუპუტავთ რაღაც-რაღაცას და იოლად გავდივართ ასე, წვალებით. ძროხა რომ არ მყავდეს, არ შეიძლება. ამ სამიოდე წლის წინათ არ მყავდა, მაგრამ ძალიან გამიჭირდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სოფელში უძროხოდ ცხოვრება ოჯახის შერცხვენაა.

პატივცემული გრიგოლის გულისტკივილი მთელი სოფლის საწუხარიცაა და კვლავ ვაგრძელებთ საუბარს.

— ხუთი სული ძროხა მყავდა, ჩემო ბიძია, პირადად მე ამ ოცდაათი წლის წინათ. სოფელში ვერ ნახავდი უძროხო ოჯახს. აბა, დღეს რაღა დაგემართაო? — მკითხავ შენ. ახლავე მოგახსენებ. არაა მაგი ძნელად პასუხგასაცემი შეკითხვა. ზეინდარს რომ გაცდები, რიონის პირა ჭალებში მაშინ საძოვრები ჰქონდა გამოყოფილი მოსახლეობას. ჩამოივლიდა დილაადრიან სოფლის ორღობეებში ნახირი, რომელსაც ყოველი ეზოდან ბღავილ-კუნტრუშით უერთდებოდა საქონელი და სოფლის გასათავარში გასული პირუტყვი ფერმას მოგაგონებდა. ნახირის მოსავლელად მორიგეობა გვქონდა დაწესებული სოფლელებს, ორ კვირაში ერთი დღე გვიწევდა. კაციც კმაყოფილი იყო და საქონელიც მაძღარი.

დღეს კი რა? მართალია, ამ ჭალებში ბაღ-ვენახები გავაშენეთ, მაგრამ სათიბლა-ხოები აღარსად დავტოვეთ...

ზოგჯერ სოფლისა და რაიონის თავკაცებიც ცოდავენ ამ საქმეში. მახსოვს, რა დიდი იმედით წავიკითხეთ 1976 წელს აბაშელთა და სიღნაღელთა თაოსნობის საპასუხოდ საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება მოსახლეობის კერძო პირუტყვისათვის საძოვრების გამოყოფის შესახებ. არ შესრულდა მაგ დადგენილება ჩვენთან, არ შესრულდა და შედეგსაც ხედავთ, როგორია...

ერთი რამეც მინდა ვთქვა კიდევ: კომბინირებულ საკვებზე, ჩვენში ქატოს რომ ეძახიან, იმის შესახებ მოგახსენებთ ორ სიტყვას. საქონლის პური ეგაა და უმისობა როგორ იქნება. ყოველ სოფელში უნდა იყოს თავზე საყრელად, მაგრამ სადაა! გვაქვს აქ ერთი მაღაზია მეზობელ სოფელ ამაღლებაში, რომელიც საგანგებოდ ქატოს უნდა ყიდდეს, მაგრამ რად გინდა მერე! მთელი კვირა უნდა უდარაჯო კაცმა, რომ ქატოს ყიდვა მოახერხო. მერედა, გაქვს კი კაცს ასე მოცლილად დრო?!

ამას წინათ მეზობელი მეუბნებოდა: ქუთაისშიც ყოფილა ასეთი მაღაზია. კი მოდის თურმე იქ შედარებით ხშირად საქონლის საკვები, მარა ისე არ აძლევენ მყიდველს, თუ უბნის კომიტეტიდან არ მიუტანა ცნობა, რომ ნამდვილად ყავს პირუტყვი. არაა ახლა ეს სასაცილო ამბავი? აბა, კაცი ხომ არ შეჭამს ქატოს, ბატონო, საქონლისათვის წაიღებს, წყალში ხომ არ გადაყრის?

მერე და ქუთაისი სადაური ფერმა ნახეს, იქ რომ გაუხსნიათ მაგ მაღაზია?! სოფელში გაეხსნათ, ის არ აჯობებდა?

ასევე უნდა ვთქვა ხარის შესახებაც, მეურნეობაში, რომელიც 2500-ზე მეტს კომლს აერთიანებს, ოთხმოცამდე უღელი ხარია სულ. ნუ ვიტყვით იმას, რომ სამაგიეროდ მანქანა-ტრაქტორებია ბლომადო. კი, ბატონო, უტრაქტორო სოფელი დღეს ვის უნახავს, მარა ხარის შეცვლა ყოველთვის რომ არ შეიძლება? ხარს თავისი ადგილი აქვს და მის მაგივრობას ტრაქტორი ყოველთვის ვერ გასწევს. არის ისეთი ადგილები, რომელთაც მხოლოდ ხარით თუ დახნავ რთული რელიეფის გამო.

წაიკითხავდი, ალბათ, რა დადგენილება მიიღო ჩვენმა მთავრობამ მეცხოველეობის განვითარებაზე. ასეა, ადრე ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ ნაჩქარევად გამოტანილი მცდარი დასკვნების გამოსასწორებლად დღეს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა ბევრს შრომობს. ჰოდა, ჩვენც უნდა დავუდგეთ გვერდით, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

კიდევ დიდხანს გასტანა ჩვენმა საუბარმა. ეს ნაჭირნახულევი კაცი აღგზნებული ყვებოდა დღევანდელი სოფლის ამბავს. დაუცხრომელ გარჯაში გატარებული სამოცდათხუთმეტი წელიწადი უფლებას აძლევდა, გულში ჩაბუდებული სათქმელისათვის ფართოდ გაეხსნა კარი.




## ნარგიზა მგელაძე

### ნოველები

ისეთი საღამოა, მარტო ქუთაისში რომ იცის — ჩამტკბარი, ჩაყუჟუნებული, ჩამაჭრებული.

...ახალი ნადღესასწაულევია და ბაღში ხალხი ირევა. აკაკის ძეგლის წინ გრძელ სკამზე ორი კაცი ჩამოჯდა; ორივე ორმოცდაათს მიახლოებული. ერთი ქუთათურია, მეორე ჩამოსულს ჰგავს. ორბისებური, ქართული პროფილი და უკანგადავარცხნილი, ჭაღარაშერეული, დატალღული თმა შავგვრემან სახეს უფრო მიმზიდველს ხდის.

უჩვეულო თითქმის არაფერია. თუმცა ერთი კია — ორბისპროფილიანს თბილი თეთრი შალი ყელზე შემოუხვევია, ნიკაპიც შალში აქვს ჩამალული და დროდადრო თეატრალურად, მშრალად ახველებს. შალი არტისტულ იერს აძლევს. თეთრშალიანი დაწყებულ ამბავს განაგრძობს:

— ჩავედით პოლონეთში. „ტრუბადურს“ ვდგამთ. ნოდარი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ფეხი ულრძვია და ველარ ჩამოვიდა.

სპექტაკლი უკვე გამოცხადებულია.

იქ გადადება-გადმოდება არ შეიძლება.

გაცივებული ვიყავი, მაგრამ ორწუთიანი სიმღერა მქონდა და მაინცდამაინც არ ვნერვიულობდი.

არადა, არა ჰყავთ ჩემს მეტი ტენორი!

დაიწყეს ჩემკენ ყურება.

დიმიტრი მჭედლიძემ მითხრა:

— არ გასულელდე, რეზოია, არ იმღეროო.

არის ნერვიულობა და ერთი ამბავი.

მოვიდა, ბიჭო, ელჩი.

რეზოო, შენზეა ახლა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი. თუ იმღერებ, გადავრჩით, თუ არა, დავიღუპეთო, მითხრა.

დიმიტრის გავხედე.

— რაც გინდა, ის ქენი! — ჩაიქნია ხელი.

მიბერეს, ბიჭო, ცხელი ორთქლი ყელში.

კულისებში კონიაკი დამიდგეს. რა მექნა, გავედი.

ვგრძნობ, პირველ მოქმედებაში არ გამომდის. ვიმღერებ, გავალ კულისებში, გადავკრავ კონიაკს, ვიმღერებ, კიდევ გადავკრავ. ხომ გახსოვს მესამე მოქმედებაში ახანევი რომაა... ავწიე, მარა რა ავწიე. ადგა, ბიჭო, მთელი პარტერი ფეხზე და „ბრავო, რეზოო!“ იძახის.

გავთამამდი და მეოთხე მოქმედებაში მთლად გადავრიე ხალხი. მესვრიან ყვავილებს და არის ერთი უბედურება. ქალები სულ გაგიჟდნენ.

დიმიტრი თვალს მარიდებს; არ უნდა, ცრემლი დამანახოს.

კულისებში ელჩი შემოვიდა, გადამკოცნა და მითხრა:

— გადაგვარჩინე და ეგ არის, მადლობთ, ძმაო რეზო. ასეთი მანრიკო მე პირადად არ მომისმენია. რა ხართ ეს ქართველები!

— მართალი უთქვამს, ვინ იზამდა მაგას ჩვენს მეტი! — ჩაერია თანამოსაუბრე.

— მარა რად გინდა, ხმა დავკარგე! პენსია მომცეს, რამდენიც ხელფასი მქონდა. საწარმოო ტრავმა მივიღე და იმიტომ.

ახლა სამხატვრო კონსულტანტად ვმუშაობ, თან ნიჭიერ ხალხს ვეძებ.

სადაა ბიჭო, ხმები!

...შუბლზე ხელშემოდებული მგოსანი გრძნობამორევით დასცქერის თავის ტურფა მხარეს და მშვენიერ შთამომავლებს.




არა, პაემნიდან არ მოვსულვარ. ყველანი ავედით მთაწმინდაზე ციგებითა და თხილამურებით.

დათუნაც.

ჩემმა მეგობრებმა ეს იციან. ღუმელი გაუხურებიათ, კარტოფილს მიწვავენ და ჩემ დაბრუნებამდე ერთი სული აქვთ.

ფანჯარაში სინათლე დავინახე და გახარებულმა შევაღე კარი. გოგონები დიდიხნის უნახავივით გადავკოცნე და უაზროდ დავწვდი კარტოფილს.

— აა, გასაგებია! — თქვა ლიამ.

— ჯერ უმია! — გამაფრთხილა ელისომ.

— სულ ერთია, — ვიცინი მე.

— დავიწყოთ თავიდან, — ღუმელთან სკამი დამიდგა ლიამ, — აქედან რომ გახვედი...

— ბრძანდებოდა? — ჩაერია ელისო, — თუმცა ჯერ ჭამე! შენი ამბავი რომ ვიცი, ლუკმას არ ჩაიდებდი პირში.

სკამიდან ლოგინზე გადავჯექი, სათხილამურო მძიმე ფეხსაცმელები იქვე დავყარე, ბალიშს მოხერხებულად მივეყრდენი და დავიწყე:

— დათუნას ჩემი სათხილამურო კოსტიუმი მოეწონა!

— ხედავ, მოწონებია. მთელი თბილისი შემოვირბინე მაგისთვის. ბიჭი იყო, არ მოწონებოდა!

— არ უთხარი, გაჩუქებ-თქო?— დამცინის ელისო.

— არ მოერგო, თორემ ვაჩუქებდი, აბა, არ ვაჩუქებდი?

— კიდევ კარგი, ხომ გავსკდებოდი გულზე.

— მხრებში ექნებოდა ვიწრო, მაგას რომ მხრები აქვს! — ირონიას არ მალავს ლია.

— ელისო, მხრები არა აქვს დათუნას? — ვცდილობ, ერთ-ერთი მაინც გადმოვიბირო.

— შენ რომ გეჩვენება, არც ისეთი, — მაწბილებს ელისო, — განაგრძე!

— მთელი ჯგუფი ავედით მთაწმინდაზე...

— ციგაზე თუ ისხედით ერთად? — მაწყვეტინებს ლია.

— ერთად არა!

— ჰმ, ელისო, რისი ღირსია ახლა ეს?! რა გასწავლე მე? წყალში ვყრი მთელ ჩემს ცოდნას და გამოცდილებას. დაჯდებოდი იმ ოხერ ციგაზე, ციგა გადაბრუნდებოდა, შენ კი შეიძლებოდა, ფეხი გეღრძო და მოგეხმარებოდა, აბა, ხომ არ ჩაგტოვებდა თოვლში?!

— კარგი, ლია, ვითომ შენ ასე მოიქცეოდი? — ვიცინი მე.

— არა, შენსავით ჰემინგუეიზე დაუწყებდი ლაპარაკს. გაფიცებ ყველაფერს, ჰემინგუეიზე თუ ილაპარაკეთ?

— კი! — ვერ ვბედავ ტყუილის თქმას.

— რას გეუბნებოდი?! — მიუბრუნდა ლია ელისოს.

— არა, საოცარია, იმასაც ის მოთხრობა მოსწონს ყველაზე უფრო, — გამახსენდა მე.

— რომელი?

— რომელიც მე მიყვარს.

— ისიც შენისთანაა, ნუ გეშინია, კაცი რომ მთელ დღეს მეტ სალაპარაკოს ვერ მონახავს!

ელისომ შემწვარი კარტოფილი დამიდგა სკამზე, საწოლთან მომიწია და მკითხა:

— მერე რა ქენით, პოეზიაზე გადახვედით?

— აბა, რას იზამდნენ, — ჩამოართვა სიტყვა ლიამ, — ჭიშკრამდე ეს იტლიკინებდა. იმ ბიჭს ძაანაც რომ ნდომოდა, ვერაფერს ჩაურთავდა. გაჩუმებულიყავი, საახალწლოდ მაინც გეტყოდა რამეს.

— არა, ლია, მასეთ ხაფანგს დათუნას ვერ დავუგებ, კი არ მძულს, მიყვარს!

— არ გადამრიო! — გაიკვირვა ლიამ.

ვუცქერი ჩემს მეგობრებს და მიხარია; ვიცი, უყვართ ჩემი დათუნა და განგებ მაბრაზებენ.

— თუ მოგაცილა მაინც, მიხვდა კი მაგდენს?

ბალიშზე გულაღმა ვწვები და თვალებს ვხუჭავ.

— ასე ჯობს!

— რა ჯობს? — ვერ გაიგო ლიამ.

— ყველაფერი! ყველაფერი ასე ჯობს. თქვენ ხომ არ იცით, როგორ გაეხარდა, როცა გაიგო, მეც ის მოთხრობა მიყვარდა. მერე მე ვკითხულობდი რობერტ ბერნსის ეპიგრამებს და თვალები უციმციმებდა — მოსწონდა. შავ თმაზე ფართო ფანტელები ეცემოდა. ხომ იცით, ქუდს არ იხურავს... ზღაპარივით იყო!

გოგოები გაჩუმდნენ.

— სველმა ხელთათმანებმა ხელები გამიყინა. დათუნას საოცრად თბილი ხელები ჰქონდა, თუმცა უხელთათმანოდ წამოსულიყო. ქუდი მეც მოვიძვრე და ორივეს გვათოვდა.

მოვდიოდით. დათუნამ მკითხა, თუ შემიმჩნევია ზაფხულობით მთაწმინდაზე ბულბულები რომ გალობენ.

ხეთა ტოტები დათოვლილი იყო და თვალი რომ ოდნავ მოვხუჭე, ვაშლის ყვავილობას გავდა.

გოგოები ხმაამოუღებლად ისხდნენ.

— მეძინება! — ვთქვი მე, — წუხელ არ მიძინია!

ელისომ ჩუმად გადამახურა თბილი ხალათი და ღუმელში შეშა შეუკეთა.

ბურანში მესმოდა, როგორ ტკაცუნობდა ხმელი შეშა და ვგრძნობდი, როგორ ბარდნიდა გარეთ.

დამესიზმრა: გაზაფხული იყო და ჩემს ეზოში ვაშლები ჰყვაოდნენ.





ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის

36-ე ბაგა-ბაღის

(გამგე დალი დარახველიძე)

აღსაზრდელთა

საესტრადო ანსამბლი

თარხან არჩვაძის ფოტო



## გიორგი გუნია

### ესკიზები თეატრალური დეკორაციებისათვის



პ. ჩაიკოვსკი „პიკის ქალი“ (1975 წ.)



ფ. დიურენმატი „რომულუს დიდი“ (1980 წ.)




კ. კანდელაკი „სოკრატე“ (1976 წ.)



ჟ. ანუი „ტოროლა“ (1964 წ.)



უ. შექსპირი „მეფე ლირი“ (1972 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა



## მღერის ჩიქოვანების ოჯახი

მღერიან ჩიქოვანები

ზურაბი და გიგლა

იფიგენია, ეკა, მარიკა

პატარა გვანცა

გიგლა

თარხან არჩვაძის ფოტო







## საუბარი

ხელ-პირი დაიბანეს და მუსაიფი გააბეს.

— როგორც იქნა, ხეირიანი ამინდი გამოვიდაო.

მაგრამ ამინდი მხოლოდ საბაბი იყო, თანაც მეტი რაღა ეთქვათ. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

„ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს", — გაიფიქრა მზესუმზირამ და რამდენადაც შეეძლო, გულგრილად თქვა:

— უყურებდით მზეს, გუშინ ჩემზე როგორ დარჩა თვალი?!

ახლო მდგომი ქრიზანთემა უხერხულად შეიშმუშნა. მზესუმზირა პირდაპირ დასჩერებოდა და რა ექნა, თორემ სიკვდილივით არ უნდოდა თანხმობის ნიშნად თუნდაც ორჭოფულად გაღიმება.

— არადა, მაგ უბედურს თვითონ ელრიცება კისერი მზისკენ! — ჩაისისინა კიდეში ჩარგულმა ასკილმა და ღობის სარს ყლორტი შემოხვია, — არ მოგვკლა, ბეჩა, მაგისმა ტრაბახმა!

— რაო, არ ამბობს, რა მინდაო? — ჩაეკითხა მზესუმზირას იასამანი, თან მეზობელ გეორგინას ფოთოლი გაუსვ-გამოუსვა, ნახე როგორ ტრაბახობსო.

— იჰ, — ფრესკის ღიმილით გამოეპასუხა მზესუმზირა, — ღმერთმა ნუ იცის მაგისი თავი!

—არა, რაღა მაინცდამაინც მე გადამეკიდა, ცოტა ხართ დანარჩენები? ტანი არ გაკლიათ და ფეხი, თუ მჯობიხართ, თუ არა, ნაკლები არც ერთი არა ხართ!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ეს თითქმის გამოწვევას უდრიდა.

საუბრის დასაწყისში თეთრმა ვარდმა მტკიცედ გადაწყვიტა, — ქვეყანა მიცნობს, რა ჩემი საკადრისია მაგათთან საუბარი, რაც უნდა თქვან, კრინტს არ დავძრავ. ხმას რომ გავცემ, ისე გამიტოლებენ თავს, რომ...

მზესუმზირას ნათქვამი ვარდს მაშინვე ემცხეთა, მაგრამ დარბაისლურად მოითმინა, გულში კი თქვა: — თავხედი იზრდება ვილაცაა, როგორ ბედავს ლაპარაკს ჩემი თანდასწრებით და ისიც მზეზე. ვინ შემოუშვა ამ ბაღში, ნეტავი, ეგ უჯიშო, ეგა!

მაგრამ როცა მზესუმზირა იმდენად გათამამდა, რომ თვალტანადობაზე სიტყვა გადაუკრა, ვარდს რაღა მოათმენინებდა, ქალი რომ არ ყოფილიყო, კიდევ ჰო, თან მზეზეც მოუვიდა ბრაზი:

— რამ გადარია ოჯახქორი, ამ ლაწირაკს როგორ გაუარშიყდა, მართლა „ვარდთა და ნეხვთა" ერთნაირად უნდა შეხედოს? მეხი კი დავაყარე მის ბრწყინვალებას ამის მერე!

ხმამაღლა კი, ცხადია, ეს არ უთქვამს. მზესუმზირასკენ არც გაუხედავს (გასკდეს გულზე, სულ არ ვამჩნევ მის ახალ კაბას!), ისე უთხრა გვერდით მდგომ პიონს:

— არ გესმოდა? წუხელ მაინც მთლად გადაირია. ასეთი უსაშველო სიყვარული აღარ გამიგია ჩვენს დროში!

მთელმა ბაღმა იცოდა, ვიზეც ამბობდა ვარდი.

— აჰა, გაჯობე, ქალბატონო, — სწრაფად დააჯამა მზესუმზირამ,— არც ისეა საქმე, ეგ ფურცლები სადაცაა დაგიჭკნება. დაგჭირდა თუ არა, ძველი არქივის გადმოქექვა. წუხელ მთელ ღამეს ვფხიზლობდი და ბულბულს ერთხელაც არ დაუკვნესია!

მზესუმზირა ზეიმობდა.



## მოფერება

ფრთხილად, ფეხაკრეფით შედის ოთახში, სადაც ბავშვს სძინავს, მძინარეს საბანს უსწორებს და, რომ არ გაალვიძოს, შუბლზე ოდნავ ეხება ტუჩებით.

— დედა, — ძილში ამბობს ბავშვი, — მე დღეს დამაკლდა... ხომ იცი, არ მეყო!

დედას გული გადაუქანდა, მას ხომ კვლავ შეაგვიანდა სამსახურში, სადილის გაკეთება ვერ მოასწრო.

— რა, გენაცვალოს დედა, რა დაგაკლდა?!

— მო-ფე-რე-ბა! — ამბობს ბავშვი და საბანში ჩამთბარ ხელებს დედას კისერზე ხვევს.

ნამით შეჩერებულ გულს თითქოს უბიძგესო, ფართხალით ეხლება მკერდს.

# „დროშის" კალენდარი

ერთიანი ბიბლიოთეკა



## აკადემიკოსი თეოფანე დავითაია

წელს, ამ შემოდგომაზე, აკადემიკოს თეოფანე დავითაიას დაბადებიდან 70 წლისთავი უნდა გვეზეიმა. ორი წლით ადრე, 1979 წლის 29 ივლისს, ჩაქრა მისი სიცოცხლე. სიკვდილამდე სამი დღით წინ კი დაამთავრა მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც მისთვის უკანასკნელი გამოდგა.

თეოფანე დავითაიამ განათლების რთული გზა გაიარა: დაამთავრა ფოთის ახლანდელი პირველი საშუალო სკოლა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ჯერ სამკურნალო, მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, შემდეგ სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტში. ასპირანტურის კურსი გაიარა ლენინგრადში, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი აგროკლიმატოლოგი გიორგი სელიანინოვი.

დოქტორანტ თეოფანე დავითაიას ხელმძღვანელობდა საერთაშორისო მნიშვნელობის გენეტიკოსი, კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და გავრცელების კანონზომიერებათა დიდი მკვლევარი ნიკოლოზ ვავილოვი. ამ პერიოდში იგი იყო საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი და მოძღვარი. მისი მოწაფეც გატაცებით ეუფლებოდა გეოგრაფიულ მეცნიერებას.

1941-1945 წლებში თეოფანე დავითაია მუშაობდა სამამულო ომის ფრონტებზე სააეროდრომო მომსახურების ბატალიონის მეტეოსამსახურის უფროსად.

ომის შემდეგ, 1950 წელს, ლენინგრადში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შემდეგ გადაიყვანეს სამუშაოდ მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსის მოადგილედ და პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილების უფროსად.

1962 წლიდან თეოფანე დავითაია საქართველოშია. აქედან იწყება მისი მოღვაწეობის ახალი ხანა. იგი იყო ვაზის კულტურის კლიმატური უზრუნველყოფის უბადლო მკვლევარი, ქვეყნის აგროკლიმატური დარაიონებისა და კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების მეთოდების შემქმნელი. თეოფანე დავითაიას ეკუთვნის უაღრესად საინტერესო კონცეფცია ჩვენი პლანეტის გაზოვანი შემადგენლობის შეცვლის მექანიზმისა და პროგნოზირების შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების დიდი ოქროს მედლის მფლობელი და კუბის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტი თეოფანე დავითაია მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი იყო. მისი ოცდაათამდე შრომაა გამოქვეყნებული საზღვარგარეთ.

დაუღალავმა მკვლევარმა, ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწემ, გულწრფელმა, კეთილმა, სამაგალითო პიროვნებამ უამრავ ღრმამეცნიერულ ნაშრომთან ერთად შთამომავლობას დაუტოვა ადამიანობისა და მამულიშვილური შემართების ცოცხალი მაგალითი.

**ალექსანდრე ასლანიკაშვილი,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# „დროშის“

# აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი — 75



სახელოვანი მეცნიერი, საქართველოში თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდა ფიზიკის პრინციპულ პრობლემებს და ისწრაფოდა, აღმოეჩინა მათი შინაგანი კავშირი, წარმოედგინა ისინი ერთიან ლოგიკურ სისტემად. ამასთანავე იგი აქვეყნებდა მხოლოდ ისეთ შედეგებს, რომლებსაც წვლილი შეჰქონდა თეორიული ფიზიკის საკვანძო საკითხების გარკვევაში.

თავისთავისადმი მომთხოვნი აკადემიკოსი ასევე მკაცრი იყო სხვისი შრომების შეფასებაში. ამის საშუალებას მას აძლევდა ფართო, ღრმა ერუდიცია, განსაკუთრებული ალღო. მრავალ ნაშრომს გაუვლია მის ხელში და, ამის შედეგად, ბევრი მკვლევარი დამდგარა სწორ გზაზე. სწორედ ამიტომაა, რომ ქართველ ფიზიკოსთა დიდი უმრავლესობა და ბევრი მეცნიერი ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდანაც მათე მირიანაშვილს თვლის თავის მასწავლებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერის ლექციებით აღიზარდა ფიზიკოსთა თაობები. ნათელი, ღრმა, მარტივად და ამავე დროს ზუსტად ფორმულირებული ლექციები შეიცავდა არა მარტო მნიშვნელოვან მონაცემებს, არამედ ავითარებდა კონკრეტულ მეცნიერულ აზროვნებას და აადვილებდა ფიზიკის, როგორც ცოდნის ერთიანი სისტემის, აღქმას.

მათე მირიანაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა ზოგადი ფიზიკის თავის შესანიშნავ, ორიგინალურ სახელმძღვანელოებში არა მარტო ცდისეული, არამედ თეორიული პრინციპებიც და მასალა დაალაგა სივრცის, დროისა და მატერიის თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით. ამან განაპირობა მაღალი დონე, რომელზეც ჯერ კიდევ 3-4 ათეული წლის წინათ წარიმართა ზოგადი ფიზიკის სწავლება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

მათე მირიანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ახალგაზრდა ფილოსოფოსთა კადრების მომზადებაში. საქართველოში ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების დამუშავების მაღალი დონე აკადემიკოს მათე მირიანაშვილის სახელთანაც არის დაკავშირებული.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი კარგად უთავსებდა ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ მუშაობას. იგი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, შემდგომ პრორექტორი და ამავე დროს ზოგადი ფიზიკის კათედრის უცვლელი გამგე თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში...

დიდია აკადემიკოს მათე მირიანაშვილის დამსახურება მეცნიერების წინაშე. მისი სახელობის აუდიტორიებსა და კაბინეტებში, მის შრომებზე კვლავაც აღიზრდება ფიზიკოსთა თაობები. დიდი სიცოცხლე გრძელდება.

**ალექსანდრე იშხნელი,**
პროფესორი

1981 წლის 10 იანვარს, დაგვიანებული ზამთრის შაბათ საღამოს, კრემლის ყრილობათა სასახლეში დელიბის ბალეტი „კოპელია“ წარმოადგინა საბჭოთა კავშირის აკადემიურმა დიდმა თეატრმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოწაფეები და ეს უნაზესი საბალეტო დღესასწაული ჩვენთვის, ალბათ, მხოლოდ მორიგ აღტაცებად დარჩებოდა, ვიოლინოს, ალტის, ფლეიტის სოლო ჰანგებს ჩვენს ცნობიერებაში რომ არ შემოეფარფატებინა მთავარი პარტიის — სვანილდას როლის შემსრულებელი, ჩვიდმეტი წლის ნინო ანანიაშვილი:

„საქართველოს განათლების სამინისტროს ფიგურული სრიალის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა აჯილდოებს დიპლომით ნინო ანანიაშვილს, რომელმაც სკოლის სპარტაკიადით გათვალისწინებულ ასპარეზობებში მეორე თანრიგოსან გოგონათა შორის პირველობა მოიპოვა (პირველი ადგილი — ფიგურულ სრიალში, მძლეოსნობაში, საერთო ფიზიკურ მომზადებაში, სპეციალიზაციაში, აკრობატიკაში, ყინულზე წარმოდგენილ ქორეოგრაფიაში)... 1972 წ.“

„... ძვირფასო სოფიო ნიკოლოზის ასულო! გულითადი სალამი თქვენ არა მარტო მზიური, არამედ ამჟამად მცხუნვარე საქართველოდან. ჩვენს სპეციალისტებს დიდად მოსწონთ ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოწაფე ნინო ანანიაშვილი (IX კლ. 14 წ.). ყველანი ძალიან გთხოვთ, დაეხმაროთ მას, რათა თქვენთან ისწავლოს. ძალიან გვჭირდება კარგი სპეციალისტები. საუკეთესო სურვილებით, თქვენს მიმართ მუდამ გულითადად განწყობილი ოთარ თაქთაქიშვილი. 30. VII. 1977“.

გაზეთი „სოფიის უწყებანი“ (1980 წ.): „ხუთი საბალეტო საღამო... ხუთი გრძელი საღამო დასჭირდა 115 არტისტს, რათა გაერკვიათ თავიანთი სურვილებისა და შესაძლებლობების დონე. ამასთან, მეორე ტურში დაშვებულია 62 პრეტენდენტი, ისინი, ვინც ქულათა ორი მესამედი დააგროვა... საბჭოთა ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე დიდია ვარნაში — მარტოოდენ მონაწილეთა სიმრავლით კი არა, გამოსვლათა ხარისხით. და თერთმეტივე მსახიობმა წარმატებით განვლო პირველადი შერჩევის საცერი. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ნინო ანანიაშვილს, ალა ხანიაშვილს, აგრეთვე სერგეი ვიხარიოვს და სტანისლავ ისაევს“.

სოფიო ნიკოლოზის ასული გოლოვკინა — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი:

— პირველი მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსში მუდამ დიდი მოვლენაა ყოველი ახალგაზრდა ბალერინას ცხოვრებაში... თანაც, თუკი შემსრულებელი ყოველმხრივ მზად არის საპაექროდ... მე ეს შემიძლია ვთქვა, როგორც ადანის ბალეტ „კორსარის“ კლასიკური პა-დე-დეს დამდგმელმა, რომლის ვარიაციებითაც წარსდგა ნინო.

ბალეტის ახალგაზრდა შემსრულებელთა ვარნის X საერთაშორისო კონკურსი იწურება. ნინომ პირველ ტურში იცეკვა ვარიაციები „კოპელიადან“ და „კორსარიდან,“ მეორე ტურში — ვარიაციები „დონ-კიხოტიდან“ და ისევ „კორსარიდან“... ბოლო, მესამე ტურის გამოსვლაღა დარჩა: გიენკოს „რუბაიები“, შოპენის „პრელუდია“, „შოპენიანა“. კონკურსი ყოველთვის ასპარეზობაა. მაგრამ ბალეტი — მუდამ ხელოვნება და მღელვარებაც უცილობლად თან სდევს ამ მაღალი, ურთულესი ქორეოგრაფიის დემონსტრირებას.

ალექსანდრე პროკოფიევი, ვაჟების კლასის დამრიგებელი და კონკურსზე ჩამოსულთაგან ერთადერთი ჩვენი პედაგოგი, ჟიურის ზოგიერთი ნევრის ფარული ხრიკებით შეფიქრიანებულია...

— ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი რიგზე იქნება. აი ნახავთ! — დაამშვიდა ნინომ.

ყველაფერი ამ ქალიშვილის უნარზეა დამოკიდებული. და სწორედ მან, ამ ქალიშვილმა, ისე არაჩვეულებრივად, ისეთი შთაგონებით იცეკვა, ქულაც ვერავინ დააკლო.

ხმები გავრცელდა და ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ — ნინომ ვერცხლის მედალი მოიპოვაო.

დაჯილდოება ხვალ მოხდება და დახურვაც. საზეიმოდ ჩააქრობენ საკონკურსო ცეცხლს ზუსტად ისეთივე თას-სიმბოლოში, ოლიმპიურ თამაშობებს რომ სჩვევიათ. ხვალ ყველაფერი გაირკვევა... ოღონდ, ეს რა ხდება?!. როგორი ყიჟინით ამორბის კიბეზე ვენესუელიდან ბებიასთან ერთად ვარნაში სპეციალურად ჩამოსული ათი წლის კუდრაჭა ლიზა, რომლის ოცნებაც ბალერინობას დაჰფოფინებს და კერპად უკვე „რუბაიების“ შემსრულებელი აურჩევია.



# ნინო ანანიაშვილი

— ორო!.. ორო!.. (ესპანურად!) ვერცხლი კი არა, ოქრო... ოქრო!..

ბანკეტი. ნინიკო ამხანაგების წრეში დგას. ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი გრიგოროვიჩი უახლოვდება, ხელს მოხვევს:

— შენი გაცნობა სურთ უცხოელებს.

შორიახლო მაგიდას ევროპული ბალეტის მესვეურები უსხედან.

— საიდან ხართ?

— ქართველი ვარ!

— ქართველი ხართ და მოსკოვში ცხოვრობთ?

— თბილისში ჩემი მშობლები ცხოვრობენ, მოსკოვში ბებიასთან ერთად ვარ.

— ბებიასთან?!. უყურე შენ!.. როგორც ჩანს, სხვანაირი ბებიები არიან საქართველოში!

თქვენი მონა-მორჩილი რეპორტიორი საკუთარ პრაქტიკაში პირველად შეეხო ბალეტს. პირველ რიგში ეპოქის უდიდესი ბალერინა, გალინა ულანოვა გაიხსენა:„... ხელოვნებაში რაღაც დიდს რომ მიაღწიო, უნდა დაეუფლო ურთულეს ზნეობრივ მეცნიერებას — სწორად შეაფასო საკუთარი შესაძლებლობანი, შეძლო განარჩიო ჭეშმარიტი მიღწევები მოჩვენებითისგან“.

მერე რეპორტიორმა დახედა საკმაოდ სოლიდური •ომის ოქროს მედალს, რომელზეც ამოტვიფრული იყო ბალერინას სილუეტი. ზნეობრივი მეცნიერება! იგი ვითარდება იქ, სადაც იშვა აზრი სიცოცხლისა — ოჯახში!.. მშობლების სახეს მუდამ განუსაზღვრავს შვილთა მისწრაფებები, და ამჟამად სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მამა, ვახტანგ ანანიაშვილი, გეოლოგია, დედა, ლია გოგოლაშვილი — ფილოლოგი, ძმები — გიორგი და ლევანი კლასიკური ცეკვისგან სრულიად განსხვავებულ უბნებზე ყალიბდებიან მოქალაქეებად და ყველანი თბილისში ცხოვრობენ. მთავარი ის არის, რომ ბებია, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ეკატერინე ანდრიას ასული ხოჭოლავა რვამილიონიან დედაქალაქში გვერდით უდგას შვილიშვილს, რომლის ყოველი ნახტომი სცენაზე მუდამ აღფრთოვანებული სულის გამოხატვის სიმბოლოდ მიიჩნევა.

ნინოს ოთახში კედელზე ფანქრით შესრულებული ნახატი მოჩანს — ალტაცებული, კამარაშეკრული ბალერინას კონტურები... თანატოლისა და პარტნიორის ანდრეს ლიეპას მეგობრული გრძნობის გამოხატულება. ერთ კლასში სწავლობენ. კლასიკური დუეტი პროფესიულ თანამეგობრობას ნიშნავს.

— ვინ არის თქვენი იდეალი?

— ეკატერინე მაქსიმოვა, პლისეცკაია, ბესმერტნოვა. ულანოვა მხოლოდ კინოფირზე მინახავს. ისე კი, ხასიათით, სტილით, ყველაზე მეტად მაქსიმოვა მიტაცებს. არ დამავიწყდება ბალანჩინის ჩამოსვლა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა პლასტიკითა და რიტმით... მაინტერესებს თუ არა თანამედროვე ჯაზური ხელოვნება? კარგია, მაგრამ მოსასმენად დრო აღარ მრჩება.

სასწავლებელში ყოველდღე რვა საათზე მიდის და საღამოთი გვიან ბრუნდება. გაკვეთილების მომზადება, საცეკვაო ინვენტარის წესრიგში მოყვანა და ძილი თერთმეტის ნახევარზე. ჟურნალ-გაზეთები საქართველოდან... ჭილაძის ორი რომანი. ზაფხულის არდადეგებზე მამასთან ერთად წასვლა გეოლოგიურ ექსპედიციებში. საქართველოს მთიანი რაიონები. ლადო ასათიანის დაუვიწყარი დღეობა ბარდნალაში. რუსთაველის თეატრის მოსკოვური გასტროლები...

ერთ მონახაზად ხილული გრაციოზული ქალიშვილის სახე დიდი ცხოვრების სათავესთან.

... ოვაციებით აფეთქებული რჩეული საზოგადოების წინაშე... ხელოვნებაში!

ფაქიზი ფრაგმენტები — ხელები, რომელთაც ამშვენებენ გრძელი, ნაზი თითები — კლასიკური დეტალები.

მარცხენა ხელის თითების აკორდი, და ამ მდუმარე ხმოვანებაში ჩართული სოლო გამოსვლა ლალისთვლიანი ოქროს ბეჭდისა.

ვასილ მჭედლიშვილი

— ათ წლამდე ფიგურულ სრიალზე დავდიოდი და იქ ქორეოგრაფიულ ანბანს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ალა დვალმა მაზიარა... მაშინ იური ზარეცკისთან ერთად დადგა „მომაკვდავი გედის“ ცეკვა ყინულზე.

და რეპორტიორმა უმალ წარმოიდგინა საბალეტო კოსტუმში მოცეკვავე პატარა ნინო. საჩვენებელი გამოსვლა ყინულის კრიალა სარკეზე. 1973 წლის ივნისი... ისე იცეკვა, ყველას გული ამოუჯდა. ალა დვალმა ჩაიხუტა, ხელიდან ლალისთვლიანი ბეჭედი მოიძრო და პატარას უთხრა:

— მე შენ ყინულზე აღარ გაგიშვებ, — მერე იქვე მდგომ ნინოს მშობლებს მიუბრუნდა, — ძალიან გთხოვთ, ბალეტზე მიიყვანეთ... იგი ბალეტისთვისაა დაბადებული!

ხელიდან აღარც მოუცილებია უძვირფასესი სახსოვარი.

თქვენ გგონიათ ოქროთი და ლალით ფასობს ეს ბეჭედი? მხოლოდ უტყუარი გზის დალოცვის მშვენიერებით. საოცარი ბავშვური გატაცებით წარმოსახულმა სენ-სანსის მოლივლივე ფრინველთა დედოფალმა მომავალი ვარსკვლავი აჩუქა ულამაზეს ხელოვნებას... ჯერ მხოლოდ მომავალი ვარსკვლავი! მაგრამ რაკი საოცრად მუსიკალურია, მეტად მაღალი და ჰაეროვანი ნახტომის უნარი შესწევს, უსაზღვროდ შეყვარებულია ცეკვის ხელოვნებაში, არ აკლია პასუხისმგებლობა და სიდინჯე, შრომისმოყვარეობით, დისციპლინით, სათნოებით გამოირჩევა, ტალანტიც სწორედ ქვეყნის უპირველესი სცენის საკადრისად იხვეწება. ტყუილად როდი აღნიშნავენ ანანიაშვილ-ლიეპას დუეტის ხილვის შემდეგ, ჭეშმარიტად, საზღვრები აღარ არსებობსო სრულყოფისათვის...

კლასიკურ ბალეტშიც, ცხოვრებაშიც, ამ რეპორტაჟშიც პირველ პლანზე ქალის პარტია გამოიკვეთა. რეპორტიორის მეხსიერებაში ნელ-ნელა გაცოცხლდა ის რამდენიმე სევდანარევი ეპიზოდი, როდესაც სახელოვანი ხელოვანნი ლოგიკურად უსვამდნენ წერტილს ხანგრძლივ არტისტულ კარიერას სცენაზე, და უმალ სიხარულიც განიცადა იმის შეგრძნებით, რომ სწორედ ჯადოსნური, ულამაზესი პროფესიული ცხოვრების პირველ და (საოცარია!) უკვე მეტად საჩინო საფეხურზე შეფრთხიალებულ ტალანტს შეახვედრა ჟურნალისტურმა საქმიანობამ. წერა ბალეტზე ისეთივე ზეიმური სისავსისა და კმაყოფილების მომგვრელი აღმოჩნდა, როგორც დარბაზიდან აღქმა სცენური სინატიფისა.

ბალეტის ახალგაზრდა შემსრულებელთა მოსკოვის წლევანდელ, მაისის საერთაშორისო კონკურსზე ნინო ანანიაშვილმა, ამჯერად უკვე დიდი თეატრის საბალეტო დასის ახალმა წევრმა, უმაღლესი ჯილდო — „გრან-პრი“ მოიპოვა.



# პაპა და შვილიშვილი

**მოთხრობა**

**ვიქტორ კახნიაშვილი**

ბევრი შვილიშვილი ჰყავდა მიშა პაპას; გოგოებიც და ბიჭებიც ერთნაირად უყვარდა, მაგრამ ზეზვა სულ სხვანაირად ება გულზე. ამიტომ მისი სოფელში ჩასვლა ძალიან უხაროდა, ხალისი ემლეოდა, მხნეობა ემატებოდა, ამ თორმეტი წლის ქონდრისკაცში თავის ბავშვობას ხედავდა.

უკვირდა: დალოცვილმა ბუნებამ ასე როგორ დამამსგავსაო.

უხაროდა: თავიდანვე შრომისმოყვარეობა რომ დაჰყვა, სკოლაში თითით საჩვენებელი რომ იყო და იმედოვნებდა, ეს მუყაითობა ცხოვრებაში ბოლომდე გაჰყვებოდა.

ზეზვაც, მთაში ან ზღვაზე ნასვლას, ზაფხულობით სოფელ კეხვში ყოფნას ამჯობინებდა ხოლმე. მთაც იყო და ველიც, ტყეც და მდინარეც, თითქმის ყოველ შაბათს ლხინი იმართებოდა, საცეკვაო და საჭიდაო მუსიკაც ხშირად ჟღერდა, მეტი რა გინდა, სულო და გულო!

სოფელს რომ გასცდებოდი, ლიახვი ლურჯად მოედინებოდა, ნაპირს ეხეთქებოდა, ლოდებს ასკდებოდა, ღრიალებდა, იქაურობას აყრუებდა. ნაძვნარისკენ აუყვებოდი და მდინარის ხმაური თანდათან კლებულობდა, ცოტა ხნის შემდეგ კი სულ წყდებოდა. სამაგიეროდ, ჩამომქუხარე ნაკადულების ჩხრიალი და გავაკებულ რუთა რაკრაკი ატკბობდა სმენას.

მიშა პაპას ვენახიც უყვარდა და ხილის ბაღიც, მოშრიალე ყანაც და ატეხილი სიმინდიც, მაგრამ ზამთარ-ზაფხულ დაბურულ და იდუმალებით მოცულ ტყეში სიარულს არაფერი ერჩია. საურმე გზით მიდიოდა თუ ბილიკით, ზეპირად იცოდა, სად მუხა შრიალებდა, სად წიფელი ყვაოდა, სად ცაცხვი იტოტებოდა, მარწყვითა და მაყვლით როდის ღირდა პირის ჩატკბარუნება, სამურაბედ როდის ივარგებდა მოცვი, როდის გადაწითლდებოდა ასკილის ბუჩქი, როდის დაემყნა მაჟალო პანტა და ველური შინდი, ყველაზე მოქნილი და გამძლე როდის იქნებოდა თხილისა თუ იფნის სახრე, როდის დაებერტყა კაკალი და წაბლი, როდის დაეწნა კალათები და გოდრები, ლასტები და ჭარები.

პაპამ ზეზვას გარდა ვერავინ აიყოლია, არადა ვენახსა თუ ტევრში ერთი ხმის გამცემი რად ღირდა! ზეზვა თანატოლებთან ფეხბურთისა და კალათბურთის თამაშსაც ასწრებდა, ლიახვშიც ბანაობდა და ცხელ ქვიშაშიც სხვა ბიჭებივით ამოიგანგლებოდა ხოლმე, მაგრამ პაპის გვერდით ყოფნა და მისი მოყოლილი ამბები უფრო იზიდავდა.

უთენია წამოდგებოდნენ, ელენე ბებოს საგზალს მოამზადებინებდნენ და ყველანი ჯერ კიდევ დილის ტკბილ ძილში რომ იყვნენ, ისინი უკვე ჭალაში მიაბიჯებდნენ. მიშა პაპას შინ ხმას ვერ ამოაღებინებდი, მაგრამ ტყის ფერდობს რომ შეუდგებოდა, გუდას მოხსნიდა, ლაპარაკის სალერღელი აეშლებოდა და იმდენ რამეს უყვებოდა ზეზვას, ბიჭი დაღლილობასაც ველარ გრძნობდა.

მზე ამოიწვერებოდა თუ არა, სხივი უსიერშიც ატანდა. სულ სხვა ფერი ედებოდა ტყეს, უფრო აჟრიამულდებოდნენ ფრინველები. პაპა და შვილიშვილი გლახოს წყაროსთან ხელ-პირს დაიბანდნენ, შეისვენებდნენ, დანაყრდებოდნენ და კვლავ გზას განაგრძობდნენ.

— თუ ყველაფერი დროულად არ მოასწარი, დაგვიანებული არა ვარგა რა ამ ქვეყანაზე! — იტყოდა ხოლმე პაპა.

პაპას წლეულსაც ბევრი უშრომია. თავის საყვარელი წყაროსთვის ღარი შეუდგამს, ახლომახლო ახოებში ქერი, დოლის პური, შავფხა და თავთუხი მიმოუბნევია, ერთ მოზრდილ ახოში შიმალი გაუშენებია, მეორეში სიმინდი დაუთესია და გარშემო ფშატი და უნაბი დაურგავს.

არასოდეს მეორდებოდა ერთი და იგივე: სიმინდს გათოხნიდნენ, ხეებს ნალდითა და ნაჯახით გადაბელავდნენ, ფიჩხს შეაგროვებდნენ, წყაროსთავს იქით მიუკვალავდნენ, სადაც რომელიმე მცენარეს უწყლობა შეეტყობოდა, მერე ჩრდილში დასხდებოდნენ და ისეთი მადით შეექცეოდნენ ცივად მოხარშულ დედალს ან შემწვარ წიწილებს, გემრიელად შეზავებულ წითელ ლობიოს ან კამეჩის მაწონს, სამხრობისათვის ალარაფერი რჩებოდათ. მაშინ, თითქოს ნიშანს უგებსო, პაპა ხუმრობანარევი კილოთი ეტყოდა შვილიშვილს:

— ასე იცის ტყემ, წყარომ და სუფთა ჰაერმა, თუ შრომას არ დაიზარებ, მადაც კარგი გექნება, ფერიც და ხორციც!

აგვისტოს ერთ მშვენიერ დილას პაპამ და შვილიშვილმა ჩვეულებისამებრ დაასწრეს მზეს. პაპამ ულელი და საგზალი მხარზე გაიდო, ზეზვა კი კამეჩებს მიერეკებოდა. პაპა ნელ-ნელა შეუყვა აღმართს, ნიშა და ნიკორა ძოვებ-ძოვებით მიდიოდნენ, ზეზვა რალაცას ღიღინებდა და თან ჰაერში სახრეს ატრიალებდა. კამეჩები ისე მადიანად ბალახობდნენ, თითქოს მთელი კვირის ნაშიმშილევი იყვნენ. ცაცხვნარს რომ მიადგნენ, ზეზვას გახარებულ-დამფრთხალი ხმა გაისმა:

— ჰაი, პაპა, პაპააა!

— რა იყო, შვილო?!

ზეზვამ ნიშა და ნიკორა მიატოვა და ერთხელ კიდევ კარგად დააკვირდა იქაურობას. ცაცხვნარში ნანახმა პაპამისის მიერ დღემდე მოყოლილ ყველა ამბავს გადააჭარბა.

— ეგ ულელი დადე და აბა აქ ამოდი!

— შენს გაზრდა-გახარებასა, ე კამეჩები აქეთკენ გამორეკე და ცოტა ფეხს აუჩქარე!

— პაპა, დათვი ვიპოვე, დათვიიი!

— დათვიო?!

— ჰო, ჰო, დათვი!

მიშა პაპამ ულელი ხეს მიაყუდა და აჩქარებით გაემართა იქითკენ. ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა მიუახლოვდა, დაინახა ვეებერთელა მურა დათვი მოკუნტული ეგდო მიწაზე. მაღლა აიხედა და ფუტკრის გაბმული ბზუილი მოესმა. პაპა და შვილიშვილი გაოცებული შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ალბათ, თაფლით გაძღა და ძინავს! — თქვა ზეზვამ.

პაპას გაელიმა, ბიჭს სახრე გამოართვა, ნადირს შემოუარა, ჯერ ყურში შეულიტინა, ქუთუთოებიც მოუსინჯა, მერე ერთი მაგრად გადაუჭირა. დათვი არ განძრეულა.

ზეზვამაც დაძლია შიში, გული მიეცა და ტყიურს ზედ თამამად გადაურბინ-გადმოურბინა. გახალისებულ-გახარებული პაპა და შვილიშვილი დათვზე გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ პაპამ ულელი მოიტანა, დათვს კისერში ჯაჭვი ჩააბა, კამეჩები შეაბა და ფიჩხის ნაცვლად სოფლისაკენ „ნანადირევით" გასწია. თვითონ წინ გაუძღვა, ზეზვა კი კამეჩებსა და კუნძივით ათრეულ დათვს შორიახლო მისდევდა. სიხარულისაგან სახრეს ხან ჰაერში ატრიალებდა, ხან დათვს უთავაზებდა ხოლმე.

— გაცოცხლდა, პაპააა! — შიშნაჭამი ზეზვა მოხუცს კისერზე ჩამოეკიდა.

დათვი თვალის დახამხამებაში ჯერ ზურგზე გადატრიალდ-გადმოტრიალდა, მერე ორ ფეხზე წამოიმართა, თავი ლონივრად გადააქნ-გადმოაქნია, ერთი მაგრად დაიღრიალა, ჯაჭვი განყვიტა და ბურდღუნ-ბურდღუნით ტყისკენ მოუსვა.

პაპა და შვილიშვილი როცა გონს მოეგნენ, თვალი შეასწრეს, ერთ კამეჩს როგორ დაემტვრია ტაბიკები და ყროყინით გარბოდა, მეორეს კი ულელი კისერზე შერჩენოდა და თვალებგადმოკარკლული მიათრევდა...

შუადღე არ გადასულიყო. ულრუბლო ციდან მზე უხვად ჰფენდა გავარვარებულ სხივებს. მოთენთილობისგან ტყეც კი თვლემდა. გუნებანამხდარმა პაპამ და შვილიშვილმა ფერდობი ისე ჩაათავეს, ხმა არ ამოულიათ. თითქოს ნიშას და ნიკორასაც ძალა დაჰკარგოდათ, ძლივს მიიზლაზნებოდნენ.

მიშა პაპამ ბევრი იფიქრა, სოფელს რომ მიუახლოვდა, ველარ მოითმინა და ზეზვას გულისნადები გაანდო:

—შვილო, რაც დღეს თავს გადაგვხდა, არავისთან წამოგცდეს, თორემ მერე მთელი სოფელი ჩვენზე იხარხარებს!

ზეზვამ, მართლაც, დიდხანს შეუნახა პაპას საიდუმლო.

ეს ამბავი დღემდე ჩემს გარდა არავისთვის გაუმხელია.

# ფაქტები-მოვლენები-კომენტარები

დიდია პრობლემები, კაცობრიობას რომ აღელვებს და აწუხებს. მსოფლიოში დაძაბული ბრძოლაა ადამიანის სადღეისო და სახვალიო ბედისათვის, მშვიდობიანი მომავლისათვის. ატომური კოშმარის საშიშროება გულგრილობის, გვერდზე გადგომის პრაქტიკას გამორიცხავს. ამ ბრძოლაში უდიდესი როლი ეკისრება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ვინაიდან სწორედ მათი საქმიანობა ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და, არსებითად, საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდსაც იგი ქმნის.

## რამდენი გაზეთი, რადიო, ტელევიზორია მსოფლიოში?

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა დიდად შეუწყო ხელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ზრდას.

ოცი წლის წინათ მსოფლიოში ყოველდღიური გაზეთების საერთო ტირაჟი 286 მილიონ ეგზემპლარს აღწევდა, 365 მილიონი რადიომიმღები და 99 მილიონი ტელევიზორი იყო, ამჟამად კი ეს ციფრები ორსამჯერ გაიზარდა.

მსოფლიოში მცხოვრებ ყოველ 100 კაცზე დღეს დაახლოებით 13 გაზეთი, 9 რადიო და 11 ტელევიზორი მოდის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ყველაზე უკეთ ევროპაა აღჭურვილი: ევროპაში 100 კაცზე 23 გაზეთი, 22 რადიო და 32 ტელევიზორია.

ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებშია. 1975 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 80 პროცენტზე, რომელიც აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს, მოდიოდა ჩვენი პლანეტის ყოველდღიური გაზეთების საერთო რაოდენობის მხოლოდ 14,2 პროცენტი, რადიომიმღებების — 17,4 პროცენტი, ტელევიზორების — 10,5 პროცენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის დადგენილი ე. წ. საინფორმაციო მინიმუმი (ყოველ ათას კაცზე — 100 გაზეთი, 50 რადიო და 20 ტელევიზორი), რომელიც 1961-1970 წლებში უნდა შესრულებულიყო, დღესაც განუხორციელებელია. მსოფლიოში ამჟამად 50 ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული ტელესისტემა, 32 სახელმწიფოს არ გააჩნია ეროვნული საინფორმაციო სააგენტო, 38 ქვეყანას — საკუთარი პრესა.

## „XX საუკუნის სტრატეგიული ნედლეულით" ვაჭრობა

კაპიტალის ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის ორგანოები აწარმოებენ ე. წ. საქონელს, რომელიც იყიდება და დიდი მოგება მოაქვს.

1979 წელს გაყიდული საქონლისაგან მიღებული მოგებით (ამერიკის შეერთებული შტატების 500 უმსხვილესი კორპორაციიდან) მესამე ადგილზე რადიო და კინოკომპანიები იდგა, საგამომცემლო და პოლიგრაფიული მრეწველობა კი — მეოთხე ადგილზე. ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორ ჯერემ თუნსტალის ცნობით, ერთი წლის მანძილზე შეერთებულმა შტატებმა კინოფილმების, ტელეპროგრამების, მაგნიტოფირების ჩანაწერების, ფირფიტების, „ასოშიეიტედ პრესის" და „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის" სააგენტოების ინფორმაციის ექსპორტით ორი მილიარდი დოლარი მიიღო.

ამერიკელი სწავლული უილიამ რიდი ტელევიზიას უწოდებს „მანქანას", რომელიც მდიდარი მონოპოლიებისათვის ფულს აკეთებს". მაგრამ კომერციის ღმერთი უკან იხევს, როდესაც საქმე პოლიტიკას, იდეოლოგიურ ბრძოლას ეხება. მასობრივი ინფორმაციის ბურჟუაზიულ ორგანოებს კარგად ესმით ეს.

ამიტომ, დოლარი უკან იხევს, თუკი, ვთქვათ, საქმე ცხოვრების ამერიკული წესის პროპაგანდას ეხება. უილიამ რიდი აღნიშნავს, შეერთებული შტატები ნახევარსაათიან სატელევიზიო პროგრამას ინგლისში სამ-ოთხ ათას დოლარად ყიდიან, განვითარებად ქვეყნებს კი იმავე პროგრამას ას დოლარად „უთმობენ". ცხადია, ამ შემთხვევაში სრულად მოქმედებს პრინციპი — ინფორმაციის შეტანა პოლიტიკის შეტანას ნიშნავს!

## ეპილოგი

მსოფლიოში ახალი ცნობა გავრცელდა — კაპიტალის ქვეყნებში იყიდება არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ ახალი ამბების მთელი სააგენტო — „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი".

ამერიკის შეერთებული შტატების უძველესი და უდიდესი საინფორმაციო სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი" 1848 წელს დაარსდა ნიუიორკში და ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მონოპოლია ეპყრა, მაგრამ ცნობილი საგაზეთო მეფეების სკრიფსის, ჰორვარდის და ჰერსტის მეცადინეობით „ასოშიეიტედ პრესის" გაბატონებულ პოზიციებს თითქოსდა ბოლო უნდა მოღებოდა. 1907 წელს სკრიფსმა დაარსა „იუნაიტედ პრესის" სააგენტო და ქედმაღლურად განაცხადა, ამიერიდან ახალი ამბების ბაზარზე „ასოშიეიტედ პრესის" მძლავრობას ბოლო ელებაო. ორი წლის მოგვიანებით ჰერსტმა „ინტერნეშნლ ნიუს სერვისის" სააგენტოს დაუდო სათავე. 1958 წელს ეს ორი სააგენტო გაერთიანდა და დღევანდელი სახელწოდება მიიღო.

მას აქეთ ორ საინფორმაციო იმპერიას შორის მოქიშპეობას თავისუფალი კონკურენციის მაგალითად წარმოადგენდნენ. ერთი შეხედვით, ახლად დაარსებული სააგენტოს პოზიციები მყარად გამოიყურებოდა. მის ინფორმაციას 1.000 გაზეთი, 3.800 რადიო და ტელეკომპანია ყიდულობდა. მაგრამ „ასოშიეიტედ პრესი" ყველა ღონეს იყენებდა მოწინააღმდეგის დასაძლევად და მიზანსაც მიაღწია: ბევრი კლიენტი ახლა უარს ამბობს „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის" მასალების გამოყენებაზე. ყოველწლიურად მატულობს სააგენტოს ზარალი. 1980 წელს წაგებამ 7-10 მილიონი დოლარი შეადგინა. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ უფრო ძლიერმა მონოპოლისტურმა გაერთიანებამ შთანთქას დაძაბუნებული კორპორაცია და „იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის" ბოსებს თავიანთი იმპერია ბაზარზე გააქვთ. მომავალი გვიჩვენებს, ვინ იქნება მისი ახალი პატრონი.

**ამირან ავალიანი**

ფაქტები-მოვლენები-კომენტარები

არიან ადამიანები, რომელთა განვლილ ცხოვრებას თვალს გადაავლებ და გაოცდები. მათი გაკეთებული საქვეყნო საქმის ზიდვა ერთს კი არა, რამდენიმე კაცს გაუჭირდებოდა. ასეთები, ალბათ, განსაკუთრებული შთაგონებით იბადებიან და რაკილა გულის კარნახით ერთხელ დაადგებიან საყვარელ საქმეს, მერე რაც არ უნდა მოხდეს, გზას არ ასცდებიან, არ უღალატებენ დასახულ მიზანს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის თეიმურაზ ქრისტინაშვილიც.

იგი რკინიგზელის ოჯახში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაიწყო მუშაობა. რამდენიმე წლის შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს. ერთხანს იგი მასწავლებლობდა. ადმინისტრაციულ და პარტიულ ორგანიზაციებშიც ათეულ წელზე მეტ ხანს იმუშავა. 1962 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლებელთა სამმართველოს უფროსად დაინიშნა, ამჟამად რკინიგზის საგზაო სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკას უდგას სათავეში.

დიდი ამაგი დასდო თეიმურაზ ქრისტინაშვილმა რკინიგზელთა შვილების აღზრდას. მისი თაოსნობით აშენდა არაერთი სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მან აგრეთვე გამოიკვლია, შეისწავლა რკინიგზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორია და მრავალი წერილი გამოაქვეყნა.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" გამოქვეყნებულ მის ნარკვევს, რომელიც ეხება მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების იმ წლებს, როცა იგი რკინიგზაზე კონდუქტორად მუშაობდა.

ჩვენს პრესაში ხშირად ქვეყნდება თეიმურაზ ქრისტინაშვილის ჩანახატები, ნარკვევები, მინიატურები, ნაკვესები, ფელეტონები, რომლებშიც კარგად ჩანს მისი მოქალაქეობრივი მრწამსი.

ამიერკავკასიის რკინიგზის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით თეიმურაზ ქრისტინაშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა.

დღენიადაგ ფუტკარივით შრომაში გაჭაღარავდა ამაგდარი მასწავლებელი, განვლო ხანგრძლივი ცხოვრების გზა და ეამაყება, რომ უკან მიხედვისა არ ეშინია, წინ კი კვლავ საყვარელი საქმე ელოდება.

**ვახტანგ გორგანელი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ...



# [illegible]

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

## გრიგოლ გვაძაბია

## ნამდვილი ამბავი

ირიჟრაჟა. ახმიანდა სოფელი. ორღობეებში კოლმეურნეები გამოეფინენ.

დამრეც გზაზე, სოფელ ილემის ცენტრიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ზვრებისკენ მიმავალმა კოლმეურნეებმა შორიდანვე შეასწრეს თვალი ბუჩქებში გაჩერებულ „ჟიგულს".

მსუბუქი ავტომანქანა ოდნავ ცერად იდგა და ოთხივე კარი გამოღებული ჰქონდა.

ის-ის იყო საუბარში გართული კოლმეურნეები მანქანას მიუახლოვდნენ, რომ წინ მიმავალმა ბრიგადირმა მოულოდნელად შუბლში იტკიცა ხელი და ერთ ადგილზე გაქვავდა.

იქვე, ცერად ჩამომდგარი მანქანიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი ეგდო.

გაოგნებული კოლმეურნეები დაფეთებული თვალებით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

მზე უკვე შუბისტარზე იყო წამოსული, როცა შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ზესტაფონის რაიონის პროკურორი რევაზ ლაღიძე, გამომძიებელი გელა თოფურია, ექსპერტი-კრიმინალისტი ფრიდონ ყორმეზაშვილი და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ზაურ ფაილოძე.

მკვდარი პირაღმა ეგდო. შარვალი გახდილი ჰქონდა და სატინის ქვედასაცვალი ეცვა. მაისური აჩეჩოდა. შიშველ მუცელზე ორი ღრმა ჭრილობა მოუჩანდა.

იქვე ეგდო გასისხლიანებული ქვა, რომლითაც მკვლელს თავი ჩაეჩეჩქვა ამ ახალგაზრდა კაცისთვის.

— ეს ქვა, ალბათ, ოთხ-ხუთ კილოგრამს იწონის, — ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა ექსპერტმა.

სურათების გადაღების შემდეგ მკვდარი პირდაღმა გადააბრუნეს. მკვლელს ბასრი დანა მისთვის ორჯერ ჩაეცა ბეჭებში.

— ეტყობა, მკვლელი ძალიან გაშმაგებული იყო, რომ ამდენი ჭრილობა მიაყენა! — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და ახლა გასისხლიანებულ ქვას დაუწყო თვალიერება.

მანქანის სალონი აბურდული იყო. ძირს ეყარა გაზეთები, საზაფხულო ფეხსაცმელი, პაპიროსის ნამწვავები, ლიმონათის ცარიელი ბოთლი.

როცა მიყრილ-მოყრილი ნივთებიდან თითების ანაბეჭდები აიღეს, გამომძიებელი მანქანის წინ შეჩერდა, სახელმწიფო ნომერს და სერიას დააცქერდა.

— ჩვენი რაიონის მანქანა არ უნდა იყოს.

— სწორია, — გამომძიებელს მაშინვე დაუკრა კვერი პროკურორმა, — ამ სერიის მანქანები საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებშია რეგისტრირებული.

ექსპერტი და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ტყისკენ მიმავალ ბილიკს შეუყვნენ.

ახლომახლო ადგილების დათვალიერება აუცილებელი იყო. ვინ იცის, იქნებ ისეთ რამეს წასწყდომოდნენ, რომელიც მკვლელობის დანაშაულის გახსნაში დაეხმარებოდათ.

კარგა ხანს იარეს. გულმოდგინედ მიათვალ-მოათვალიერეს ყველაფერი, მაგრამ ხელშესახებს ვერაფერს მიაკვლიეს. ის-ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდნენ, რომ უფროსმა ინსპექტორმა ზაურ ფაილოძემ ვეება ლოდის უკან, ჩირგვნარში, გაზეთის ნაგლეჯებს შეასწრო თვალი.

მალე ნათელი გახდა, რომ ჩირგვებში დაჭმუჭნულ გაზეთში სახელდახელოდ გახვეული შარვალი იყო გადაგდებული. გაზეთიდან გამოჩრილ შარვლის ტოტზე სისხლის ლაქები ჩანდა.

ექსპერტმა მაშინვე ფოტოაპარატი ააჩხაკუნა.

გულმოდგინედ დაათვალიერეს შარვალი. მისი ორივე ჯიბე გადმობრუნებული იყო. სისხლის ლაქები შარვალს სხვა ადგილებზეც აჩნდა.

— შეიძლება მოკლულის შარვალია, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა კაპიტანმა ზაურ ფაილოძემ და მაშინვე დაუმატა, — ვინ იცის... ეს შარვალი რაღაც ძალიან გრძელი და განიერი ჩანს...

როცა ბილიკი ჩალიეს და მანქანასთან მივიდნენ, გამომძიებელი მკვლელობის ადგილის დათვალიერების ოქმის შედგენას ამთავრებდა.

— სხვა ნივთმტკიცებებთან ერთად ეს შარვალიც შეიტანეთ ოქმში, — თქვა კაპიტანმა ზაურ ფაილოძემ და თავაწეულ გამომძიებელს გაზეთში გახვეული შარვალი გაუწოდა.

გვამი საკაცეზე დაასვენეს. იქვე ჩამომდგარ სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს და რაიონის საავადმყოფოს პროზექტურაში გააგზავნეს.

პირველ რიგში უნდა დაედგინათ, ვის ეკუთვნოდა სოფელ ილემის მიდამოებში ბოროტმოქმედთაგან მიტოვებული ავტომანქანა „ჟიგული".

პასუხმა არ დააყოვნა. რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამორიგეო ნაწილიდან ოციოდე წუთში ასეთი შინაარსის ტელეფონოგრამა გადმოსცეს რაიგანყოფილებაში: „ჟიგული" ეკუთვნის გორის რაიონის მკვიდრს გიორგი ილიას ძე ილინს.

მალე დადგინდა, რომ გიორგი ილინი შინიდან ერთი კვირის წინ გაემგზავრა გაგრაში, სადაც მისი ცოლ-შვილი ისვენებდა.

გიორგი ილინს რაიონში ახასიათებდნენ როგორც პატიოსან და ავტორიტეტულ ადამიანს, იგი თურმე შრომისმოყვარე და მხიარული კაცი იყო.

კაპიტანმა ზაურ ფაილოძემ მოძიებული მასალა გააანალიზა და თბილისში ტელეფონით დაუკავშირდა სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ ბორის რუხაძეს.

როცა კაპიტანმა ზაურ ფაილოძემ ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა პოლკოვნიკს და დავალებები მიიღო, როგორც იქნა გაბედა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მომეცით, გთხოვოთ...

— რა გინდათ, მთხოვოთ?

— ნება მომეცით, ერთი საათით ჩამოვიდე თბილისში.

— რატომ?

ტელეფონში პოლკოვნიკის თავშეკავებული სიცილი გაისმა.

— თქვენ გეკითხებით, რატომ უნდა ჩამოხვიდეთ თბილისში?

პოლკოვნიკმა პასუხს აღარ დაუცადა და გულითადი ხმით წამოიწყო:

— გილოცავთ! ქალიშვილი შეგეძინათ! ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თქვენი ჩამოსვლა თბილისში საჭირო არ არის. ოჯახში ყველაფერი რიგზეა.

პოლკოვნიკმა ჩაახველა და მაშინვე განაგრძო:

— მკვლელობის გასახსნელად თითოეული წუთი ძვირფასია.. დაუყოვნებლივ შეასრულეთ, რაც დაგავალეთ...

* * *

შუაღამე უკვე გადასული იყო. მაგიდასთან ოთხნი ისხდნენ.

ზომავდნენ, წონიდნენ, ახლად მიკვლეულ მასალებს ერთხელ კიდევ დეტალურად სწავლობდნენ და აანალიზებდნენ.

— მოდით, ერთხელ კიდევ მოვუყაროთ თავი, რაც ხელთა გვაქვს, — წამოიწყო პროკურორმა და თითები აათამაშა, — ვიცით მოკლულის სახელი და გვარი...

— საცხოვრებელი ადგილიც ვიცით, — მიაგება გამომძიებელმა.

— ქვაზე და ბუჩქებში ნაპოვნ შარვალზე აღმოჩენილი სისხლის ლაქების კატეგორია ილინის სისხლის კატეგორიას დაემთხვა, — თქვა ექსპერტმა, — მკვლელობის ადგილზე აღებული თითების ანაბეჭდების მსგავსი ანაბეჭდები რესპუბლიკის დაქტილობარათებში აღრიცხული არ არის.

ჩამოვარდნილი სიჩუმე უფროსმა ინსპექტორმა დაარღვია:

— გაგრა?

— ბიჭები ხვალ დილით ჩამოვლენ გაგრიდან, — ჩაილაპარაკა პროკურორმა, — ვნახოთ, რა ამბავს ჩამოგვიტანენ.

— შეიძლება, მოკლულის ცოლშვილმა რაიმე კვალზე მიგვანიშნოს.

— რა თქმა უნდა, — პროკურორი მაშინვე დაეთანხმა ექსპერტ-კრიმინალისტს.

წამიერი დუმილი ისევ უფროსმა ინსპექტორმა დაარღვია:

— ესე იგი, ბუჩქებში ნაპოვნი შარვალი მოკლულის არ აღმოჩნდა?

— არა, — თავი გაიქნია პროკურორმა.

პროკურორის კაბინეტში ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა.

რევაზ ლაღიძე ყურმილს დასწვდა.

— დიახ!.. დიახ!.. — დროდადრო ყრუ ხმით ამბობდა პროკურორი და დაძაბული ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს.

როცა ყურმილი დადო, შუბლზე მოისვა ხელი და ხმადაბლა წამოიწყო:

— ექსპერტმა დაადგინა, ნაპოვნი შარვლის ქსოვილის არტიკული. იგი იაპონური ლავსანია. შარვალი საქართველოში არ არის შეკერილი.

პროკურორმა გაოცებულ სახეებს შეავლო თვალი და განაგრძო:

— ოფიციალურად გვაცნობეს: უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, რესპუბლიკაში იაპონური წარმოების ლავსანი არ შემოსულა!

— მერე რა? ხომ შეიძლება მოქალაქემ ასეთი ლავსანი მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში ანდა სხვა რომელიმე ქალაქში შეიძინოს?

— მოითმინეთ! — პროკურორმა ხელის აწევით შეაჩერა გამომძიებელი და მშვიდად განაგრძო:

— ამ ქსოვილის რომელიმე ქალაქის მაღაზიაში შეძენა გამორიცხულია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ასეთ ქსოვილს თურმე მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამკერვალო სახელოსნოები იღებენ. გასაგებია?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ბიჭებმა უნდა გვიშველონ, — ზაურ ფაილოძემ თითები აათამაშა, — დიახ, მათ უნდა გვიშველონ!

— როგორ გავიგოთ ეგ? — იკითხა პროკურორმა.

— აი როგორ, — ზაურ ფაილოძემ ხელჩანთიდან ორად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა, ჩააცქერდა და თავი არც აუღია, ისე წამოიწყო.

— უნდა დავადგინოთ, უკანასკნელ ხანებში რომელმა ქალაქებმა მიიღეს იაპონური ლავსანის ქსოვილი.

— დავუშვათ, დავადგინეთ. მერე?

— როცა ქალაქს დავადგენთ, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამკერვალო სახელოსნოების დადგენა აღარ გაგვიჭირდება.

— მერე? მერე როგორ უნდა გავიგოთ, ამ სახელოსნოებში რომელმა მკერავმა შეკერა ჩვენთვის საინტერესო შარვალი.

— აი როგორ, — ზაურ ფაილოძე ისევ გადაშლილ ქაღალდს ჩააშტერდა, — ამ შარვალს აქვს ისეთი ნიშანი, რომლითაც ხელოსნის პოვნა შეიძლება.

ყველა დაიძაბა.

— თერძობა ხელოვნებაა. ყველა კარგ მკერავს, ასე ვთქვათ, თავისი ხელწერა აქვს. გახსოვთ, თბილისში ერთი ქუდების მკერავი იყო. ისაკას ეძახდნენ. მის შეკერილ ქუდებს ყველა ცნობდა.

ზაურ ფაილოძემ განაგრძო:

— ბუჩქებში ნაპოვნი შარვალი გულდასმით შევისწავლე. თუ არ ვცდები, ამ შარვალში ხელოსნის თავისებური, სხვებისგან განსხვავებული ხელწერა ვიპოვე.

მოსაუბრემ სიგარეტი ხელიდან ხელში მოინაცვლა.

— შარვლის ორივე ტოტს შიგნითა მხარეს, მუხლის არეში, ხელით ფაქიზად დაგვირისტებული თხელი მატერია აქვს ჩაკერებული. ეს მატერია შარვალს გაცვეთისაგან იცავს, გარდა ამისა, კაცმა მუხლებზე რომ იხოხოს, შარვალს ერთი ნაკეციც არ დააჩნდება. შეიძლება ვცდები, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ამ შარვლის ტოტით შეიძლება ჯერ მკერავს, შემდეგ კი შარვლის პატრონსაც მივაკვლიოთ...

ბჭობა და ბაასი, ვერსიების წამოყენება, ათასგვარი მოსაზრების გამოთქმა, ახალი გეგმების დასახვა გვიანობამდე გაგრძელდა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა მოვიდა, რომ უკანასკნელ ხანებში იაპონური ლავსანის ქსოვილი მხოლოდ კრასნოდარის მხარის ქალაქ კრაპოტკინის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამკერვალო სახელოსნოებმა მიიღეს.

იმავე საღამოს თბილისიდან დარეკა სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბორის რუხაძემ.

— ამხანაგო კაპიტანო, — ყურმილიდან ზაურ ფაილოძეს ნაცნობი მშვიდი ხმა ჩაესმა, — დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ კრაპოტკინში. ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედეთ. შეკითხვა გაქვთ?

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— წარმატებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

მეორე დღეს კაპიტანი ზაურ ფაილოძე, შინაგან საქმეთა ზესტაფონის რაიგანყოფილების თანამშრომლები გივი ვარდოსანიძე და სულიკო პერანიძე კრაპოტკინის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის კაბინეტში ისხდნენ და კოლეგებს თავიანთი ჩამოსვლის მიზეზს აცნობდნენ.

რამდენიმე სამკერვალოს შემოწმებას შედეგი არ გამოუღია.

ჯერი № 15 სამკერვალო სახელოსნოზე მიდგა.

დირექტორი შეცბა, მაგრამ ყველაფერი აუხსნეს და თანდათან დამშვიდდა.

— აბა დაუკვირდით, თქვენთან ხომ არ არის შეკერილი? — ჰკითხა ზაურ ფაილოძემ და გაზეთში გახვეული შარვალი მაგიდაზე დაუდო.

გასისხლიანებული შარვლის დანახვაზე დირექტორმა ხელები გაასავსავა, მაგრამ ვიდრე რაიმეს იტყოდა, გივი ვარდოსანიძემ დაასწრო:

— ნურაფერს ნუ მიაქცევთ ყურადღებას... შარვალს დაუკვირდით.

— მერე შარვლის ტოტები გადმოაბრუნეთ და ისე დაუკვირდით, — ახლა სულიკო პერანიძე ჩაერია საუბარში.

სათვალე წამოსკუპებულმა დირექტორმა დიდხანს ატრიალა შარვალი. ბოლოს შარვლის ტოტები გადმოაბრუნა და მაშინვე შესძახა:

— ეს შარვალი ვერა კუზმინას გამოჭრილი უნდა იყოს.

ჩეკისტებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს.

ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტში ორმოცდაათ წელს გადაცილებული დაბალ-დაბალი, სათვალიანი ქალი შემოვიდა.

ვერა კუზმინამ ყურადღებით მოისმინა ყველაფერი, სათვალე შეისწორა, შარვალი შეათვალიერა და მშვიდად თქვა:

— დიახ, შარვალი ჩემი გამოჭრილია.

მალევე დადგინდა, რომ № 15 სამკერვალოში ლავსანის 170 შარვალი შეეკერათ.

სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა გაფორმებული ქვითრებიდან ზუსტად ამოიწერეს შარვლის დამკვეთთა გვარები, მისამართები და სამუშაო ადგილები.

კრასნოდარის შინაგან საქმეთა სამმართველომ დაადგინა, რომ 170 კაციდან, რომლებმაც ლავსანის შარვალი შეიკერეს, 18 კაცი სხვადასხვა დროს პასუხისგებაში იყო ნამყოფი.

დამნაშავის ძებნა, ცხადია, იმ 18 ადამიანიდან უნდა დაეწყოთ.

დაიწყო მომქანცველი მუშაობა. ჩეკისტები წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიდიოდნენ ბინაში, ბოდიშს უხდიდნენ მასპინძელს და მორიდებით სთხოვდნენ, № 15 სამკერვალოში შეკერილი ლავსანის შარვალი გვანახეთო.

18-დან 17 კაცს ლავსანის შარვალი ეცვა, ანდა გარდერობში ჰქონდა ჩამოკიდებული.

ერთიღა რჩებოდა.

მეთვრამეტე კაცი, რომელმაც ლავსანის შარვალი № 15 სამკერვალოში შეიკერა, იყო ვინმე ევგენი ალექსანდრეს ძე ბედარევი. იგი იმჟამად დაპატიმრებული იყო და სასჯელს იხდიდა.

სპეცკომენდატურის უფროსის კაბინეტში ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს.

მშვიდად ეჭირა თავი. ჩამოჯდა. შეთავაზებული სიგარეტი გააბოლა და ყურადღებით ჩამოათვალიერა ყველა.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა ზაურ ფაილოძემ.



— ბედარევი. ევგენი ალექსანდრეს ძე ბედარევი.

— ასაკი?

— ოცდარვა წლის.

— განათლება?

— საშუალო სკოლა დავამთავრე.

— პროფესია?

— ზეინკალი ვარ.

კაპიტანი თვალებში ჩააშტერდა ბედარევს და უცბად ჰკითხა:

— უკანასკნელად როდის იყავით საქართველოში?

— საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ, — ევგენი ბედარევს წარბიც არ შეუხრია.

— რა დანაშაულისთვის იხდით სასჯელს? — იკითხა სულიკო პერანიძემ.

— ხულიგნობისთვის. დავთვერი...

ჩამოვარდნილი სიჩუმე ზაურ ფაილოძემ დაარღვია:

— თქვენ ამ რამდენიმე ხნის წინათ № 15 სამკერვალო სახელოსნოში ლავსანის შარვალი შეიკერეთ. ხომ ასეა?

ბედარევმა გაოცებით ახედა კაპიტანს.

— უპასუხეთ! — მკაცრად მიახალა გივი ვარდოსანიძემ.

— დიახ, შევიკერე.

ფაილოძემ მაგიდაზე სწრაფად გაშალა გაზეთი და ზედ სისხლიანი შარვალი დააგდო.

— ეს არის თქვენი შარვალი?

ევგენი ბედარევმა შარვალი რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ეს შარვალი ჩემია.

— გთხოვთ, დაამტკიცოთ! — მიახალა აღელვებულმა კაპიტანმა.

— შარვლის მარცხენა წინამხარეს ქამრის გასაყრელი ერთხელ კარის სახელურს გამოედო და გაირღვა. შინ არავინ იყო, ავდექი და მე თვითონ მივაკერე სხვა ფერის ძაფით. შეგიძლიათ, შეამოწმოთ.

ევგენი ბედარევი მართალს ამბობდა.

ქართველმა ჩეკისტებმა, ვიდრე ბედარევს შეხვდებოდნენ, უკვე იცოდნენ რომ პატიმრობაში იგი წესიერად იქცეოდა, პატიოსნად შრომობდა.

— ევგენი ბედარევი წინათ ნასამართლევი არ ყოფილა, — განმარტავდა სპეცკომენდატურის უფროსი, — სიმთვრალეში, როგორც ჩანს, შემთხვევით ჩაიდინა ხულიგნობა და ახლა ძალიან ნანობს. სანიმუშო ყოფაქცევისათვის გვინდა შუამდგომლობა აღვძრათ, რომ სახალხო სასამართლომ აპატიოს მოსახდელი სასჯელის დარჩენილი დრო.

ბედარევის უდანაშაულობის დასამტკიცებლად მთავარი მაინც სხვა რამ იყო.

პირადი განცხადების საფუძველზე, სპეცკომენდატურამ ევგენი ბედარევი ორჯერ ოთხი საათით გაათავისუფლა და ნება დართო, დავრდომილი დედა მოენახულებინა შინ.

მთელი ღამით იგი არასოდეს გაუთავისუფლებიათ. ესე იგი, მას პრაქტიკულად არ შეეძლო საქართველოში ჩამოსულიყო, მკვლელობა ჩაედინა და მერე ისევ დაბრუნებულიყო.

შარვალი?

ევგენი ბედარევის შარვალი საიდანღა ჩაუვარდა ხელში მკვლელს?

— თქვენი ლავსანის შარვალი... აი ეს შარვალი, ხომ არ გაგიყიდიათ? — ჰკითხა ჩაფიქრებულ ბედარევს გივი ვარდოსანიძემ.

ევგენი ბედარევმა უარყოფის ნიშნად გააქნია თავი.

— არც ვინმესთვის გიჩუქებიათ?

— არა. არ მიჩუქებია.

სიჩუმე ფაილოძემ დაარღვია:

— როგორ ფიქრობთ, თქვენი შარვალი როგორ ჩაუვარდა ხელში მკვლელს?

— მოგახსენებთ.

პატიმარმა ჩამქრალ სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და წამოიწყო:

— ერთხელ, კვირა დილით, როცა არ ვმუშაობდით, დედის სანახავად გამიშვეს. ვისარგებლე შემთხვევით და მდინარე ყუბანზე ჩავირბინე საბანაოდ. ბანაობის დროს შემთხვევით გავიცანი ვინმე მიხეილი, გვარი არ მახსოვს, რომელსაც თან ქალი ახლდა.

— ქალის სახელი გახსოვთ?

— ნინა, — ბედარევმა მაშინვე უპასუხა და განაგრძო:

— ქვიშაზე მივწექით. ხან რაზე ვსაუბრობდით, ხან რაზე... ბოლოს ჩამთვლიმა. ალბათ ოციოდე წუთი მეძინა. როცა თვალი გავახილე, აღარც მიხეილი იყო, აღარც ნინა და აღარც ჩემი ტანსაცმელი....

ძაფის ნაპოვნი წვერი თანდათან უფრო დაგრძელდა და ჩაიხლართა. ძიებამ ვიღაც მიხეილი და ვიღაც ნინა აამოტივტივა. ახლა საჭირო გახდა მათი ვინაობის დადგენა.

— კიდევ რა შეგიძლიათ გვითხრათ შემთხვევით გაცნობილ მიხეილსა და ნინაზე?

— თითქმის არაფერი.

— დაფიქრდით, — კაპიტანი წამოდგა და გვერდით მიუჯდა ჩაფიქრებულ ევგენი ბედარევს, — იცოდეთ, თქვენს ყოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს ძიებისათვის.



— მიხეილი მგონი დონეცკიდან იყო...

— დონეცკიდან?!

— აქაური არ იყო?

— ისევ დონეცკში უნდა წასულიყო?

ჩეკისტებმა ზედიზედ მიაყარეს კითხვები ევგენი ბედარევს.

— დიახ, დონეცკელი იყო... ქვიშაზე საუბრის დროს მითხრა, დონეცკში ვცხოვრობო.

— მერე?

— მერე და მერე... მიხეილს ათას კაცში ვიცნობ. შუბლის მარცხენა მხარეს ღრმა ნაიარევი აჩნევია... მუცელზე შუბიანი მხედარი აქვს დატატუირებული... მკერდზე შიშველი ქალი... მოიცათ, იცით რა აწერია ქვეშ: „ნინა — ჩემი სიხარული“, ჰო, ასეა...

ეს იყო და ეს.

ეს იყო და ეს. ბედარევისგან სხვა ვერაფერი გაიგეს.

მოღუშული ზაურ ფაილოძე ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ნომრები აკრიფა.

— გეთაყვათ, თუ შეიძლება გვითხარით, დონეცკში რომელ საათზე მიფრინავს თვითმფრინავი?

ყურმილი დადო და ბიჭებს მიუბრუნდა:

— დონეცკში მივდივართ. დრო ძალიან ცოტა გვაქვს. აბა, ვიჩქაროთ!

დონეცკში მეგობრულად შეხვდნენ ქართველ კოლეგებს.

ყველაფერი სწრაფად და მოულოდნელად აეწყო.

როცა ზაურ ფაილოძემ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ვინმე მიხეილის გარეგნობის აღწერა დაიწყო, სამძებრო სამმართველოს უფროსმა ბოდიშის მოხდით შეაჩერა:

— თქვენ თქვით, მუცელზე შუბიანი მხედარი აქვს დატატუირებული, ასეა არა?

— დიახ.

— ახლა მე გავაგრძელებ. ტანზე დატატუირებულ შიშველ ქალს კი ასეთი მინაწერი აქვს: „ნინა — ჩემი სიხარული“...

მასპინძელი გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ რაღაც ქაღალდით ხელში შემობრუნდა კაბინეტში.

— აი თქვენთვის საჭირო მონაცემები. ვინმე მიხეილი გვარად ლაპიკუსია. მიხეილ ივანეს ძე ლაპიკუსი. იგი ხუთჯერ არის ნასამართლევი ქურდობისა და ძარცვისათვის. ამჟამად ლაპიკუსი ისევ პატიმრობაშია. ძარცვისთვის დავაპატიმრეთ. სასჯელს შორეული აღმოსავლეთის შრომა-გასწორების კოლონიაში იხდის. რვა წლის პატიმრობა აქვს მისჯილი. მოიცათ... აი კიდევ თქვენთვის საინტერესო ცნობა. მიხეილ ივანეს ძე ლაპიკუსი საქართველოშია დაბადებული. დაბა თერჯოლაში. სხვა რა გამომრჩა?

— ნინა! — მაშინვე მიაგება კაპიტანმა.

— სწორი ბრძანდებით. თუ მკვლელი ლაპიკუსია, მას ალბათ მისი განუყრელი თანამგზავრი და დანაშაულში თანამონაწილე ნინა კოჟევნიკოვა ედგა მხარში. იგი ამჟამად დანაშაულში მხილებული არ არის და თავისუფლად დაბრძანდება... ახლა წავიდეთ, ვისაუზმოთ და იქ გავაგრძელოთ საუბარი...

სამძებროს მუშაკები იმავე დილით დაუკავშირდნენ თბილისს.

მიხეილ ივანეს ძე ლაპიკუსი შორეული აღმოსავლეთიდან ქუთაისის საგამომძიებლო იზოლატორში გადმოიყვანეს.

ამ ოცდათხუთმეტი წლის ახოვანმა კაცმა პრაქტიკული გამოცდილებიდან იცოდა, რომ უტყუარ ნივთმტკიცებებს ვერსად გაექცეოდა და მალევე გატყდა.

ძიებამ თანდათან გააცოცხლა და ნათლად აღადგინა სოფელ ილემთან მომხდარი მკვლელობის შემზარავი სურათი.

გაგრაში საქურდლად და დროს გასატარებლად ჩამოსულებმა მიხეილ ლაპიკუსმა და ნინა კოჟევნიკოვამ გიორგი ილინი შემთხვევით გაიცნეს ზღვის სანაპიროზე.

საუბარში გამოირკვა, რომ გაგრაში ცოლ-შვილის სანახავად ჩასული ილინი მეორე დღეს გორში აპირებდა დაბრუნებას.

— ხომ არ შეწუხდებით, რომ მე და ჩემი მეუღლე დაგემგზავროთ. თერჯოლაში დავიბადე, იქ ნათესავები მყავს და მინდა მოვინახულო ისინი...

სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა: ლაპიკუსს არ სურდა, ილინის ცოლ-შვილს შეხვედროდა. დილით თავიანთი შეხვედრის ადგილი ლაპიკუსმა ახალგაცნობილს გაგრიდან ცოტა მოშორებით დაუნიშნა.

მიხეილი და ნინა მთელი გზა მღეროდნენ, ლაზღანდარობდნენ, ართობდნენ და აცინებდნენ საჭესთან მჯდომ გიორგი ილინს.

მკვლელობის ადგილი საგანგებოდ შეარჩიეს. შუაღამე იყო, როცა სოფელ ილემს მიუახლოვდნენ. როგორც კი ტყე დაიწყო, ლაპიკუსმა მძღოლს სთხოვა მანქანა გაეჩერებინა.

— ამდენი ჯდომით ნინა დაიხუთა, გადავიდეთ, ცოტა ჩვენც გავშალოთ მუხლი.

როცა გიორგი ილინი მანქანიდან გადმოვიდა და მთვარეს ახედა, ლაპიკუსმა ფინური დანა ზურგიდან ორჯერ ჩასცა ბეჭებში.

ილინმა შემობრუნება მოასწრო. გამძაგებულმა მკვლელმა ახლა ორჯერ მუცელში ჩასცა დანა და მიწაზე დავარდნილ მსხვერპლს უზარმაზარი ქვით ჩაუმტვრია თავი.

ჩქარობდნენ. მკვლელმა გასისხლიანებული შარვალი გაიხადა. მანქანაში მიგდებული ილინის სპორტული შარვალი ჩაიცვა, თავისი გაზეთში გაახვია, ტყე-ტყე სირბილის დროს ბუჩქებში მოისროლა და ქალთან ერთად გაუჩინარდა.

...მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა.

სასამართლომ ნინა კოჟევნიკოვას რვა წლით პატიმრობა მიუსაჯა, მიხეილ ლაპიკუსს კი სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.



# იოსებ გრიშაშვილის წერილები

ცნობილი ლექსიკოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ნეიმანის არქივში (ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში) საყურადღებო მასალები ინახება. ზოგიერთი მათგანი გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

ალექსანდრე ნეიმანის არქივში იოსებ გრიშაშვილის სამი წერილია დაცული, წერილები გამოგზავნილია გაზეთების „სახალხო ფურცლისა“ და „სახალხო საქმის“ თანამშრომლის, საზოგადო მოღვაწის, ნინო ბარნაბიშვილი-ნეიმანის (ალ. ნეიმანის მეუღლე) სახელზე.

პირველი წერილი ნინო ნეიმანთან გამოგზავნილია თბილისში, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში, 1915 წლის 15 მაისს. წერილს აქვს დონის როსტოვის საფოსტო დამღა. როგორც ირკვევა, იოსებ გრიშაშვილი როსტოვში ყოფილა, შემდეგ დასასვენებლად გამგზავრებულა. მანამდე კი გამოუგზავნია შემდეგი შინაარსის წერილი:

„ქრისტეს მიერ დაო ნინო! (მღვდლურია, ჰაა!)

„მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა!“ ამჟამად ვიმყოფები კისლოვოდსკში... იმდენი მუშაობის შემდეგ მინდა ერთი ლოთიანად დავისვენო... აი ეხლა რასა გთხოვთ: ჩემი გაზეთი, — რომელსაც მიგზავნიდით ხარფუხში — გამომიგზავნეთ აქ... აი ადრესი: Кисловодск. Эладзе, Гришашвили. მხოლოდ, გეთაყვა, ნუღარ დამიგვიანებთ, ეხლავე გაეცით განკარგულება, თორემ დამშეული ვარ სამშობლოს ამბებით (უნდა გამომიგზავნოთ ხუთშაბათიდან, 21 მაისიდან). იყავით კარგად, მომიკითხეთ თქვენი საშა თავის უჭულ-ბუჭულებით... მომავალი მუსიკოსებით... ერთი შესაფერი ამუსიკებული ლექსი მინდა ვუძღვნა თქვენ ტყუპ-მუსიკოსებს — ვნახოთ!... იყავით კარგად. გამარჯვებით. ველი გაზეთს. პატივისცემით ი. გრიშაშვილი“.

ჩანს, პოეტის თხოვნა შეუსრულებიათ. ნინო ნეიმანს 1 ივნისისათვის სამადლობელი წერილი მიუღია:

„პატივცემულო ნინო!

მივიღე გაზეთი. გმადლობთ. აქ მიგზავნეთ მხოლოდ სექტემბრის პირველ რიცხვებამდე. შემდეგ კი ისევ ჩემს — მშობლიურ ხარფუხში. ამას გარდა, გეთაყვა, გამომიგზავნეთ ძველი ნომრებიც 20 მაისიდან 29 მაისამდე! ეს ნომრები გამომრჩა, რადგან როსტოვში ყოფნის დროს სხვისი გაზეთით ვსარგებლობდი და ეხლა კი ის გაზეთი იმას თვით სჭირდება და მე კი ეგ ძველი ნომრები მაინტერესებს, რადგან „ბურუსის“ და „გულის საზღვრის“ გაგრძელებები იმ ნომრებშია... იმედი მაქვს, ამ წერილის მიღებისთანავე გასცემ განკარგულებას, არ დამივიწყებ და არ მომაკლებ სამშობლოს ამბებს... პატივისცემით ი. გრიშაშვილი“.

ასეთი მონდომებით აგროვებდა პოეტი გაზეთის ყოველ ცალს, ყოველ წიგნს, რომლებიც ახლა მის ბიბლიოთეკაში ინახება და ხალხის საკუთრებად არის ქცეული...

ი. გრიშაშვილის მესამე წერილი ნალვერიდან არის გამოგზავნილი 1920 წლის აგვისტოში. ამჯერად გაზეთ „სახალხო საქმის“ რედაქციაში. ცნობილია, რომ ეს გაზეთი 1917 წლიდან „სახალხო ფურცლის“ გაგრძელება იყო. აი წერილი:

„სალამი ნინოს!.. სალამი ნინოს! სალამი ნინოს!.. ამინ!.. შენი სურათი (საშასიც, ლეოსიც და ვახტანგისაც — ვნახე აქ მღებრიშვილის პანსიონერთა შორის. ლეო და ვახტანგი ეხლა დავაჟკაცებულნი არიან, — გაქვთ ეს სურათი? კარგია მერე!.. აქ კარგია, მაგრამ საშინელი სიძვირე კია...

მართლა: ნინო, შეიძლება დედაჩემი მოვიდეს რედაქციაში და გეთაყვა, 750 მან. მიეცი (შპალერის გაკვრა უნდა ჩემს ოთახს). სხვა აქ ახლა არაფერია, გარდა იმისა, რომ ლიზა მღებრიშვილი დაინიშნა და 15 მარიამობისთვეს ქორწილი ექნება ტიმოთეს უბანში...

ი. გრიშაშვილი“.

როგორც წერილებიდანაც ირკვევა, იოსებ გრიშაშვილი ახლო მეგობარი იყო ნეიმანების ოჯახისა, სადაც თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწეები, მეცნიერები: გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, ილია ალლაძე, ნინო ნაკაშიძე, დომნიკა ერისთავი-განდეგილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

ალ. ნეიმანის არქივში დაცულია მრავალი წიგნი ცნობილ მოღვაწეთა ავტოგრაფებით. მათ შორის სხვადასხვა გამოცემა იოსებ გრიშაშვილის ავტოგრაფით. პოეტის ერთტომეულს, რომელიც 1949 წელსაა გამოცემული, ასეთი წარწერა აქვს: „ჩემი ახალგაზრდობის მომსწრეს — საშა ნეიმანს, ქართული დოვლათის შემკრებს, რომელმაც დიდი ნიჭით და რუდუნებით დააგროვა და შეჰკრა ჩვენი მეტყველების ნიმუშები. ვაშა და ბარაქალა! ი. გრიშაშვილი. 1951, 27. VIII თბილისი“.

სახელგანთქმული მგოსნის ეს ქება-დიდება ცნობილი ლექსიკოგრაფის ალ. ნეიმანის სქელტანიანმა წიგნმა „ქართული სინონიმთა ლექსიკონმა“ დაიმსახურა, რომელიც ამის შემდეგაც რამდენჯერმე გამოიცა.

ნეიმანმა გარდა ამისა, შექმნა სამეცნიერო ნაშრომი ქართული ენის, ქართული და რუსული ლიტერატურის ისტორიის და ქართული თეატრის საკითხებზე. დიდი შრომა გასწია როგორც მთარგმნელმა. რუსულად თარგმნა ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. მანვე თარგმნა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ და სხვა კომპოზიტორთა ოპერების არიების, რომანსებისა თუ სიმღერების ლიბრეტოები და ტექსტები, აგრეთვე ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები.

ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნეიმანი გარდაიცვალა 1967 წლის 8 ივლისს, დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

**კარლო გაგუნია**

# დაუვიწყარი



გიორგი გელაშვილი თავის შემოქმედებაში ეხებოდა სამამულო ომის დღეებს, ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს, ადამიანის რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, დღევანდელობას...

მწერალი გავიცანი თავისი მოთხრობით „გვიფარავს მრავალი ჰერი“, რომელიც დაიბეჭდა 1973 წელს, „ცისკრის“ ბოლო ნომრებში. მე მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. ნაწარმოების გმირები სტუდენტები, ახალგაზრდები იყვნენ. მოთხრობა ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, შთაბეჭდილება ავტორისთვის გამეზიარებინა.

რამდენიმე დღეში მივიღე პასუხი. იმდენი სითბო, ტაქტი და პასუხისმგებლობა იგრძნობოდა მის წერილში, რომ ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. გამაოცა მისმა მეგობრულმა კილომ და მოკრძალებამ.

პატივცემული გიორგის წერილები ყოველთვის მამხნევებდნენ, რაღაცას მირჩევდნენ და მაქეზებდნენ. მასთან მიმოწერამ ბევრი კარგი შემძინა, რადგან სათნოებით, რწმენითა და ნებისყოფით აღსავსეს, შეეძლო ყოველივე ეს სხვისთვის ჩაენერგა.

არაერთხელ გავუოცებივარ პატივცემული გიორგის ყურადღებას. 1974 წლის 10 სექტემბერი იყო. მივიღე ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლის“ რედაქტორის — დაუვიწყარი ისაკი ქორთუას ბარათი, რომელშიც რედაქციაში მისვლას მთხოვდა.

მე, რა თქმა უნდა, გამოვცხადდი და გავვოცდი, როცა ისაკი ქორთუამ წიგნები გადმომცა და მითხრა: გიორგი გელაშვილმა გამოგიგზავნათ და მთხოვა, თქვენთვის გადმომეცაო.

ეს წიგნები ჩემთვის ძვირფასი საჩუქარია და მე მათ მოწიწებით ვინახავ.

წლევანდელ 18 ივლისს ზუგდიდს უამრავი ძვირფასი სტუმარი ეწვია. ვზეიმობდით ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას დაბადების 80 წლისთავს.

ზეიმი ახალი დამთავრებული იყო, როცა ჩვენს სახლს მანქანა მოადგა. შევეგებე შავებში ჩაცმულ, სათნოებით აღსავსე ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძეს, რომელსაც ხელში ეჭირა თავისი განსვენებული მეუღლის წიგნები და მითხრა: თქვენ, ალბათ, ხვდებით ვინც ვარო. მივხვდი, როგორ ვერ მივხვდი, და თვალზე სიხარულის ცრემლი მომადგა. ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძეს საქართველოში ყველა იცნობს, როგორც შესანიშნავ მოღვაწეს, გულისხმიერ ადამიანს, დიდებულ ქართველ ქალს. მან ბევრი თბილი სიტყვა მითხრა და წიგნებიც მისახსოვრა.

ოქტომბრის თვეში გიორგი გელაშვილის დაბადების დღეა. მივალ მის საფლავზე და თეთრი მიხაკებით შევამკობ მიწას, რომელმაც ასე ნაადრევად მიიბარა ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი მეგობარი და მწერალი.

**ნუნუ ჯაკონია,**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ქირია

# ქეთევანის ოქროს ისრები

რთული და მომქანცველი იყო მოსკოვის ზაფხულის XXII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი შესარჩევი ტურნირები მშვილდოსნობაში. როგორც სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, მოსკოვის კრილატსკოეს ოლიმპიურ სასროლეთზე თითოეულ ქვეყანას მხოლოდ ორი ქალისა და ამდენივე ვაჟი მშვილდოსნის გამოყვანა შეეძლო.

ბრძოლა ორი საგზურისათვის მართლაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ახლა პრეტენდენტებს არ იკითხავთ? საბჭოთა ნაკრების წევრობის მაძიებელთა სია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ 1980 წლის გაზაფხულისათვის მისი რაოდენობა შემცირდა. დარჩნენ: ნ. ბუტუზოვა, ქ. ლოსაბერიძე, ო. როგოვა და ზ. რუსტამოვა.

ქართველ მშვილდოსანს ნაკრებში მოხვედრისათვის სამი უძლიერესი სპორტსმენისათვის უნდა გაემართა პაექრობა. როგორც მოსალოდნელი იყო, რჩეულთა შორის აღმოჩნდნენ ნატაშა ბუტუზოვა და ქეთევან ლოსაბერიძე.

— ძალიან, ძალიან ძნელია ნატაშა ბუტუზოვას დამარცხება, — ამბობს უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე. მას არწივის თვალები აქვს. თითქმის არასდროს ღელავს. არავითარ მოვლენას არ ძალუძს მისი წონასწორობიდან გამოყვანა. დიდი გამძლეობა აქვს...

როცა ქარმა სპილენძისფერი ღრუბლების წყობა დაარღვია, მსაჯთა კოლეგიამ მოსკოვის ოლიმპიურ სასროლეთზე სასპარეზოდ მშვილდოსანი ქალები იხმო. ტურნირში ამერიკელები არ მონაწილეობდნენ. ოქროს დიდი მედლისათვის ძირითადი ბრძოლა საბჭოთა მშვილდოსნებს შორის უნდა წარმართულიყო. პირველის მხარეზე იყო დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა, რომელსაც ნატალიამ გამოცდილ მეტოქესთან უკანასკნელ ორთაბრძოლებში მიაღწია. ამ გარემოებას შემდგომში ხაზს უსვამდა თავის ტელეკომენტარებშიც მსოფლიოს ექსჩემპიონი, მოსკოველი ე. გაპჩენკო.

პირველ სერიაში ბუტუზოვამ 70 მეტრზე სროლა 301 ქულით დაამთავრა. ქეთევანმა ოდნავ ინერვიულა და ორი ქულით ჩამორჩა. მან ჩინებულად იცის, რომ მეტოქის ძალიან წინ გაშვება სახიფათოა, ამიტომ იგი იოკებს ნერვულ დაძაბულობას და აი შედეგიც: 60 მეტრზე სროლა ქეთევანმა მოიგო, ბუტუზოვა 3 ქულით ჩამორჩა. ოთხდღიანი პაექრობის პირველი რაუნდი ქეთევანმა 1 ქულით მოიგო. ეს უპირატესობა წვეთია ზღვაში...

მეორე დილით ტაშკენტელი თავის საყვარელ 50-მეტრიან დისტანციაზე აგზავნიდა თეთრ ისრებს. მისი თითოეული მოძრაობა უაღრესად გამიზნული და სწრაფია. ნატაშამ 301 ქულა მოაგროვა, ქეთევანმა მხოლოდ 295.

30 მეტრზე ასპარეზობაში თბილისელი სპორტსმენი რამდენიმე ქულით უგებს მეტოქეს და ამრიგად ასპარეზობის პირველი ნახევარი მისი უპირატესობით წარიმართა. ახლა ქეთევანს კიდევ ორი ძნელი ტურის გადალახვა მოელის, მაგრამ იგი შეუნელებლად მიილტვის სანუკვარი ოცნებისაკენ. დაძაბულია ყოველი წუთი...

და აი დადგა ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვების მეოთხე, უკანასკნელი დღე. წინა დღეს, 1 აგვისტოს, თბილისელმა გულშემატკივრებმა დაბადების დღე გადაუხადეს ქეთევანს, გამარჯვება უსურვეს. იყო დეპეშები, ყვავილები, წერილები.

სასროლეთზე გამოდის ქეთევან ლოსაბერიძე. 50 მეტრზე სროლა მან 4 ქულით მოუგო ტაშკენტელ მშვილდოსანს. ახლა საერთო უპირატესობა 12 ქულას აღწევს, მაგრამ ჯერ კიდევ შორია ოქროს მედლამდე. ზანტად გადის წუთები, სასროლეთზე ოდნავ წამოწვიმა კიდეც. ქეთევანი თვალის დახამხამებაში ასრულებს უკანასკნელ სერიას. ყველანი სასროლეთის ნაირფერი სამიზნისაკენ გარბიან. მალე ცხადი ხდება, რომ 2491 ქულით მოსკოვის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ქეთევან ლოსაბერიძემ მოიპოვა.

მეტოქისაკენ აღელვებული მიემართება ნატაშა ბუტუზოვა, იგი პირველი ულოცავს მშვილდოსანს, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში პირველმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

— ყოჩაღ, ქეთევან, ბრავო ლოსაბერიძე! — გაისმის ტრიბუნებზე. ჩემპიონი პაეროვან კოცნას უგზავნის გულშემატკივრებს, იგი უსაზღვროდ ბედნიერია.

იმ წლებში, როცა მშვილდოსნობა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, ქ. ლოსაბერიძე ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. მათემატიკაზე შეყვარებულ გოგონას, აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ ამ მეცნიერების გვერდით მშვილდოსნობას დააყენებდა, ერთი ბედნიერი შემთხვევა რომ არა.

— გაზაფხულის ერთ დღეს, — იგონებს ოლიმპიური ჩემპიონი, — ფიზკულტურის ჩვეულებრივი გაკვეთილი გვქონდა. დარბაზში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი თადარიგის პოდპოლკოვნიკი შალვა ჯაშიაშვილი შემოვიდა. მან ოდნავ გაგვიღიმა და მშვიდად დაიწყო საუბარი.

შალვა ჯაშიაშვილმა მალე ჩამოაყალიბა პირველი სპორტული სექცია საქართველოში. მშვილდოსნობის დიდმა ენთუზიასტმა სასროლეთიც კი გამონახა, საკუთარი ძალებით წესრიგში მოიყვანა იგი. სპორტის ამ სახეობის პირველ რესპუბლიკურ ტურნირს სწორედ ქუთაისმა უმასპინძლა და ქეთევანის დებიუტიც იქ შედგა. მან რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იგი უძლიერესი გახლდათ ყველა ოლიმპიურ დისტანციაზე სროლაში...

გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ქეთევან ლოსაბერიძის მდიდარ კოლექციას ამშვენებს თითქმის ყველა უმაღლესი ჯილდო მშვილდოსნობაში — იგი სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს (გუნდურ ჩათვლაში) ჩემპიონია. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით. მკითხველი ალბათ იტყვის: მეტი რაღა უნდა ინატროს სპორტსმენმა?

ქეთევანი კი თავისი მომაჯადოებელი ღიმილით მეუბნება: ბევრი არაფერი. ყველა სიკეთესთან ერთად, მხოლოდ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი მაკლიაო. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი აისრულებს სპორტში ამ ერთადერთ ოცნებას.

გზა გამარჯვებისა, ქეთევან!

**ავთანდილ ადეიშვილი**

# მერხი

## მოთხრობა

ერეკლეს ციხე-გალავნის სამხრეთით გაშენებულ ნარგავებს თელაველებმა ბულვარი შეარქვეს. ბულვარი მე სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია, თუ არ იდგება ბზა, ტანმაღალი ნეკერჩხალი, ბუჩქ-ბუჩქად ტუიები და მეჩხერად ჩამომდგარი მერხები.

თავისი ცხოვრების ბოლო წლებს უმეტესობა ბულვარის ფერგადასულ მერხზე ატარებს.

კარგა ხანია ბულვარში აღარ შემისვენია, დავჯექი მარტოდმარტო დარჩენილ მერხზე. მერხი ჭოგრს მაგონებს, დიდი და პატარა კუთხეებით. ჩემს გვერდით მოხუცებული თეატრალი ჩამოჯდა, ნაპოლეონს ეძახიან; ეს მისი გვარიც არის და სახელიც. აზრად არავის მოსვლია, რატომ ჰქვია ნაპოლეონი. იქნებ, თვითონაც აღარ ახსოვს, როდის შეარქვეს ეს ზედმეტი სახელი?!

ნაპოლეონი ნიკაპით დაეყრდნო მოვერცხლილ ჯოხს, ნიკაპი ამოებრიცა, ცხვირს მიუახლოვდა. ჟინმა ამიტანა: მიაწვდენს ნიკაპს ცხვირთან თუ არა?! იგი დროდადრო ნიკაპს მდგომარეობას უცვლიდა. მერე, ალბათ, ნიკაპი ეტკინა, წელში გასწორდა, ფრთხილად მიეყრდნო მერხის საზურგეს, თვალი მინაბა — ნეტარება დაეუფლა.

— გამარჯობა, ნაპოლეონ! — წამოგვეპარა წვრილი ხმა; იგი ვერ ვიცანი.

— გამარჯობა! — ნეტარებიდან გამოსძახა ნაპოლეონმა.

უცნობი მეც წვრილი ხმით მომესალმა, წამოვდექი და ისე დავუკარი თავი. იგი მომცრო ტანის იყო, ფეხებს მიწაზე მიაცურებდა, ამას ისეთი რიტმით აკეთებდა, გეგონებოდათ, ცეკვავსო. პატარა სახეზე დიდრონი თვალები კედლის საათის ტვირთებივით გადი-გამოუდიოდა. ხვნეშით ჩაიმუხლა მერხზე.

ნაპოლეონმა თვალები გაახილა, გაუღიმა, ამინდზე ჩამოუგდო საუბარი.

— დათბა!

— ჰო, დღეს თერმომეტრი პლუს თხუთმეტს უჩვენებს.

— კი, მასე იქნება! — დაეთანხმა ნაპოლეონი.

— ალბათ, ბებეროც გამომზეურდება! — ივარაუდა წვრილხმიანმა.

— მაშა, მაშა!

— სანდროს ცოლთან უჩხუბია, სახლი გადაუწვია! — დაუმატა მან.

— უჰ, უჰ!.. — ნაპოლეონმა სინანულით გააქნია თავი.

— დაუჭერიათ!

— ჰო?! — ამოიოხრა ნაპოლეონმა.

— ეგრე უთქვამს, სასჯელს მოვიხდი და გამოვალო!

— ოთხმოცი წლის იქნება!

— ცხოვრებას თავიდან დაიწყებს! — ჩაიქირქილა წვრილხმიანმა.

ნაპოლეონს ბოლმანარევი ღიმილი გამოეხატა სახეზე.

— გამოუშვებენ! — ჩაიდუდუნა მან.

— შეიძლება! რა ვიცი!

საშუალო ტანის, ფაშფაშა, ხელჯოხიანი ძახდილოსანი მოგვიახლოვდა, ჩვენკენ მოიხედა, თვალები ქუთუთოებში გაწურა, ნაბიჯი შეანელა.

— გამარჯობათ! — ტონაწეული მოგვესალმა.

ნაპოლეონმა და წვრილხმიანმა უხილავ წერტილს მოაცილეს თვალები.

— გაგიმარჯოს!

— გაგიმარჯოს!

კარგა მანძილზე გაცილებულ ქალს დაადევნეს თავიანთი მისუსტებული ხმები.

— ვინ იყო? — იკითხა ნაპოლეონმა.

— ნამასწავლებლარი!

— რომელი?

— ანა ივანეს ასული ხატიაშვილი.

— არ ვიცი.

— როგორ არ იცი, რუსული ენის მასწავლებელი რომ იყო!

— ვაა, არ ვიცი და!

— როგორ არ იცი, ბიჭო, პირველ სკოლაში ასწავლიდა, ლამაზი ქალი იყო!

— ლამაზი ქალი?! რაღაც არ მაგონდება.

— კაცო, როგორ ვერ გაიხსენე?!. აი, ერთხელ რვა მარტისათვის, მშობლებმა რომ უთხრეს, საჩუქარი უნდა გიყიდოთო!

— მერე?

— მერედა, უთხრეს რა გიყიდოთო? თითო მშობელს ოცი მანეთი დაუდვია.

— მერე?! — [illegible] და ნაპოლეონს.

— ანა ივანეს ასულს ფული აუღია, მე თვით ვიყიდიო.

ნაპოლეონს მიმჭკნარი კუნთები უთრთოდა, სიტყვა ყელში უშრებოდა, თვალები ბოლმის ჭად ექცა.

— ჰაა?! — აღმოხდა ბოლოს.

— შესულა კლასში... ჭვრიტის გოგოს ხომ იცნობდი? — განაგრძობდა იშტაზე მოსული წვრილხმიანი.

— მაშა, მაშა, იმის მამა რა ვაჟკაცი იყო! ქერჩთან დაიღუპა.

— ჰოდა, ჭვრიტი გოგის შვილისთვის უთქვამს: წამოდიო. ისიც წაყოლია, შესულან ბაბულიას მაღაზიაში, მოგროვილი ფულით ჭვრიტის გოგოსათვის უყიდია ფეხსაცმელები, ფორმა, თეთრი პერანგი, ლაპლაპა ჩანთა, დავით გურამიშვილის წიგნი, ორი კილო ხორცი, კარაქი და კიდევ ბევრი რამ, სად გავიხსენო.

ნაპოლეონი თვალებმილულული საამო ხმაზე ფშვინავდა.

— ნაპოლეონ!

— ჰო, ვერა, ვერ გავიხსენე, შინ მივალ, ღმერთმანი, ერთი კარგა გავიხსენებ! — მგონი, აცივდა!

— კი, აცივდა! — დაეთანხმა წვრილხმიანი.

ზანტად წამოდგნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ.

---

ლექსები

**ნარგიზა სოფრომაძე**

### იჩქარე, თორემ...

იჩქარე, თორემ ეს იმედიც გამიფრინდება,
გადაეკვრება მოგონებებს ცისფერი ნისლი.
თუ არ იმედი, მაშ, რა არის ეს გარინდება...
შორი მთებიდან დამფრთხალი შვლის ხმა რად მოისმის...
იჩქარე, სანამ მოლოდინი გამანადგურებს,
ბროლის ლარნაკში გაფითრდება ლურჯი ყვავილი,
იჩქარე, სანამ ჟჟერი შენი არ გადასულა,
ვიდრე ამ გულში კიდევ ერთი სევდა გაივლის...
იჩქარე, თორემ ეს იმედიც გამიფრინდება,
დაეფინება მოგონებებს ცისფერი ნისლი.

### დაგაგვიანდა

ისევ ლოდინის დაიცალა ყველა სასმისი,
და მოგონება მდევარივით ჩამიდგა კვალში;
დუელში გიწვევ თმენის რაშზე ამხედრებული,
თვალდათვალ ვზომავ ჩვენ ორს შორის გაწოლილ მანძილს;
დაგაგვიანდა!
რწმენის ქურქში ვარ გახვეული,
და მხრებს მიმოსავს მოქათქათე იმედის ფარჩა;
ნისლში დაცურავს შორეული შენი სამრეკლო,
და სამსხვერპლოზე გაწირული მსხვერპლი კი არ ჩანს;
დაგაგვიანდა!

### მერე ის გულიც

პატარა გულებს ხშირად ვკოდავთ უზომო შხამით,
თუმცა კი ვიცით, არაფრისათვის.
და უსინდისოდ გავიძახით:
„არაფერია, მერე რაა, არაფერია“.
— არაფერია?!
სითბოსთან ერთად გაფრენილან თბილი სიტყვებიც,
სიცარიელე, სიცარიელე და სიცივეა.
მერე ის გულიც აივსება ბოღმით და გესლით,
დატიტულ ცრემლებს ამოხაპავს კვლავ გაოცება.
დავკარგეთ ერთი... ცამეტი და... ოცდამეერთე,
დაგვკარგა ხუთმა... ათმა... ოცმა... კიდევ რამდენმა...
და დავემდურეთ საკუთარ წარსულს —
ჩვენივ სურვილით შექმნილ ცხოვრებას.
დღესაც წამლეკავს აბეზარი, ქოშინა ქარი,
სადმე ულრანში მიმაგდებს და მიმამწყვდევს ჩიხში,
თუ ვაჟკაცი ხარ, ერაყიფე — უთხარ უარი,
ნუ ჩაიბუდებს შენს თვალებში ეჭვი და შიში.
ვიცი, წამლეკავს აბეზარი, ქოშინა ქარი,
ფეხით გასრესილ ყვითელ ფოთლის დამადებს ცოდვას,
მაგრამ თუ მარცხი გამარჯვების საწყისიც არის,
მიეტევება პატარა გულს ამდენი ბორგვა.

# რა არ ხდება

## ასეთი მუზეუმიც არის...



პოლონეთის ქალაქ კროსნოში არის ლამპების მუზეუმი. აქ თავმოყრილია სხვადასხვა დროს დამზადებული ლამპების ნიმუშები.

მუზეუმში გამოფენილია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლამპა, რომელიც პოლონელმა ოსტატებმა 1853 წელს დაამზადეს.

იტალიის საზღვართან შვეიცარიის საბაჟოს თანამშრომლებმა დაარსეს მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია... მგზავრებისთვის ჩამორთმეული სხვადასხვა აკრძალული ნივთები.



აქვეა გამოფენილი ორძირიანი ჩემოდნები, ბავშვების სათამაშოები, საკვორიაჟები, რომლებითაც მგზავრები ლამობდნენ საზღვარზე არალეგალურად გადაეტანათ აკრძალული საქონელი.

მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატია მსუბუქი ავტომანქანა. ამ მანქანაში საბაჟოს თანამშრომლებმა შვეიცარული საათები იპოვეს.



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენში გახსნილია მონეტების მუზეუმი.

მრავალ ექსპონატთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსოფლიოში ყველაზე მინიატურული მონეტა-დუკატი.

იგი მოჭრილია ნიუნბერგში 1699 წელს.

მონეტის სისქე 0,3 მილიმეტრია, წონა — 0,1 გრამი.



იენის ოპტიკური მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალიზებული მუზეუმია.

აქ 13 ათასზე მეტი ექსპონატია გამოფენილი.

მუზეუმში ნახავთ ვერცხლის, ოქროს, პლატინის ლორნეტებს, სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ სათვალეთა ჩარჩოებს.

დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს XVII საუკუნის სათვალის ჩარჩო, რომელიც მაღალოსტატურად არის გამოკვეთილი ნუშის ხის მასალისაგან.



ტელეფონი, როგორც ცნობილია, 1876 წელს გამოიგონეს, ათი წლის შემდეგ კი პრაღაში მსოფლიოში პირველად შეადგინეს ტელეფონების ნომრების ცნობარი.

პრაღაში არის საფოსტო მუზეუმი, რომელშიც უამრავ ექსპონატს შორის ინახება ტელეფონის უძველესი აპარატები და მსოფლიოში პირველად შედგენილი ტელეფონების ნომრების ცნობარის ერთადერთი შემორჩენილი ეგზემპლარი.



პოლონეთის სოფელ კრასოვცინის ერთ-ერთ ქარის წისქვილში გახსნეს ხორბლის მუზეუმი.

მუზეუმში მსოფლიოს ყველა ჯიშის ხორბლის ნიმუშებს მოუყარეს თავი.

აქვეა გამოფენილი სხვადასხვა ეპოქის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებსაც ხორბლის მოსაყვანად იყენებდნენ.



მსოფლიოში ერთ-ერთი უცნაური მუზეუმია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში.

მუზეუმში გამოფენილია სხვადასხვა დროის შუშის ნაწარმი.

ექსპონატთა შორის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს მსოფლიოში პირველად დამზადებული თერმოსი. იგი 75 წლის წინათ საკუთარი ჩანაფიქრით გააკეთა გერმანელმა მინის ოსტატმა რეინჰოლდ ბიურგენმა.

### მკითხველთა საყურადღებოდ!

1982 წლის 1 იანვრიდან ჩვენი ჟურნალის ეგზემპლარი ეღირება 35 კაპიკი.

ეს გამოწვეულია საბეჭდი ქაღალდის გაძვირებით, გამოცემის პოლიგრაფიული შესრულებისა და ხელმომწერთათვის მიტანის ხარჯების გაზრდით.

გარეკანის პირველ გვერდზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი. მოქანდაკე საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ბორის ციბაძე. მეოთხე გვერდზე „თბილისობა" ბონდო დადვაძის ფოტო.

გადაეცა წარმოებას 19. VIII. 81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. X. 81 წ. უე 08615 ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 60.000, შეკვ. 2189, ფასი 30 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩურჩხელა, ჩურჩხელა!






ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056